პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
30 სექტემბერი
1939 წ.
№ 225 (5625)
ფასი 10 კაპ.

დ ღ ე ს გ ა ზ ე თ შ ი ა

ფართო გზა ქალთა შრომას მრეწველობაში (მოწინავე)
გმირი მესაზღვრენი (1-ლი გვ.)
სამხედრო ეპიზოდები (1-ლი გვ.)
„ჩვენ მივიღეთ ადამიანური ცხოვრების უფლება" (1-ლი გვერდი)
სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების ჩაბარება (1-ლი გვერდი)
მამაცი ტანკისტები (მე-2 გვ.)
დასრულდა საქართველოს საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობა (მე-2 გვ.)
ბროდნოსათვის ბრძოლაში (მე-2 გვ.)
ფართოდ დავნერგოთ ქალთა შრომა მრეწველობაში (მე-3 გვ.)
ვ. ჯიბლაძე — ორდენოსან საქართველოს — ღირსეული სასოფლო ვაჭრობა (ფელეტონი. მე-3 გვ.)

უცხოეთში:

საომარი მოქმედება დასავლეთის ფრონტზე (მე-2 გვ.)
რეპრესიები საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ (მე-4 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფართო გზა ქალთა შრომას მრეწველობაში

ჩვენი სახელოვანი მუშურ-გლეხური წითელი არმია ღირსეულად ასრულებს თავის დიად, განმათავისუფლებელ ამოცანას; მას თავისუფლება და ნამდვილი ბედნიერება მიაქვს დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მოძმე ხალხებისათვის, რომლებიც ოცი წლის განმავლობაში იტანჯებოდნენ პოლონელი პანების მძიმე უღელქვეშ, განიცდიდნენ სასტიკ ნაციონალურ და სოციალურ ჩაგვრას.

დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ბედნიერი ხალხი წითელი არმიის მამაც მებრძოლებს — ამ საყვარელ და მახლობელ ადამიანებს — აუწერელი სიხარულით ეგებება: მამაკაცები, ქალები, მოხუცები, ბავშვები — ყველანი როგორც ერთი კაცი, გამოდიან ქუჩებში და წითელი არმიის ძლევამოსილ კოლონებს ყვავილებით, ხილითა და მრავალნაირი სხვა საჩუქრებით უმასპინძლდებიან. ამ ხალხმა კარგად იცის, რომ წითელი არმია მშრომელთა არმიაა, რომ იგი მოწოდებულია დაიცვას მშრომელთა ინტერესები, თავისუფლებისა და ხალხთა მშვიდობიანი ცხოვრების ინტერესები.

წითელი არმია საბჭოთა ხალხის სისხლი-სისხლთაგანი და ხორცი-ხორცთაგანია, იგი ასრულებს მთელი საბჭოთა ხალხის ნება-სურვილს. ამიტომაა, რომ თავისი მამაცი არმიის გმირულ ბრძოლას ფრონტებზე მძლავრი საბჭოთა ხალხი ხელს უწყობს ახალი შრომითი ენტუზიაზმის აზვირთებით, შესანიშნავი სტახანოვური შრომით ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და დაწესებულებებში.

ჩვენი ქვეყნის მშრომელთა შორის უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხ. **ვ. მ. მოლოტოვის** მოწოდებამ — პატიოსნად და თავგანწირულად ვიმუშაოთ ჩვენს პოსტზე და ამით დახმარება გავუწიოთ წითელ არმიას.

სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ათეულათასობით მოწინავე ადამიანებმა მთავრობის თავმჯდომარის მოწოდებას უპასუხეს შრომის ნაყოფიერების მაღალი, შესანიშნავი მაჩვენებლებით, სტახანოვური მოძრაობის გაფართოებით, ამ მოძრაობის ახალი ფორმების ფართოდ დანერგვით. მანქანათმშენებლობის მთელ რიგ ქარხნებში მუშები ერთი დაზგის მომსახურებიდან გადადიან მრავალი დაზგის მომსახურებაზე და დიდად ზრდიან შრომის ნაყოფიერებას. მაგალითად, თბილისის კალინინის სახელობის ქარხანაში სტახანოველი ა. ბადში ექვს დაზგას ემსახურება და საწარმოო-საფინანსო გეგმას 187 პროცენტით ასრულებს. ასევე ექვს დაზგაზე მუშაობენ სტახანოველები ა. დობროვი, გ. სომხიევი და ვ. ფომინი და თვითეული მათგანი 170 პროცენტით ასრულებს გეგმას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესოა შესანიშნავი ინიციატივა მოწინავე საბჭოთა ქალებისა, რომლებიც სამუშაოდ მიდიან მრეწველობასა და ტრანსპორტზე და ეუფლებიან ისეთ სპეციალობებს, რომლების შესახებ წინათ გავრცელებული იყო ყალბი აზრი, თითქოს მარტო მამაკაცებს შეეძლოთ შეესრულებინათ ეს სამუშაო. მრავალმა მოწინავე საბჭოთა ქალმა თავისი პირადი მაგალითით დაამტკიცა, რომ ქალის ხელს ისევე ემორჩილება ურთულესი დაზგა, ორთქლმავალი, ავტომობილი, თვითმფრინავი, ტურბინი, სანგრევი ურო და სხვა მანქანები, როგორც მამაკაცის ხელს.

ყოველი მხრიდან მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ მრეწველობაში ჩვენი მოწინავე ქალები უაღრესად ძნელ და პასუხსაგებ სამუშაოებზე სცვლიან მამაკაცებს და წარმატებით ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. 25 სექტემბერს ტყიბულის მაღაროებში 18 დიასახლისი ქალი მოვიდა შახტში სამუშაოდ. მაღაროელი ქალები თამარ ლანჩავა, შურა არსენიძე, თამარ ობოლაძე, კლავდია ბაკურაძე, ოლღა ძოწენიძე და სხვები სოციალისტური შრომის საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან.

მრავალი მოწინავე ქალი მუშაობს ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში. ლენინის სახელობის ქარხანაში მუშა ქალები შუშანა ცუცქირიძე და შურა ბერიძე საუცხოოდ დაეუფლენ მარგანეცის სარეცხ დაზგას და ყოველდღიურ გეგმებს 150-200 პროცენტით ასრულებენ. სტახანოვური შრომის შესანიშნავ ნიმუშებს იძლევიან აგრეთვე მარგანეცის მიწისქვეშა სამუშაოებზე მომუშავე ქალები მარო კერესელიძე, ლეონინა სამხარაძე, მარუსია სერედიჩენკო და სხვები.

შრომის მაღალ ნაყოფიერებას აღწევენ თბილისის საწარმოებში, აგრეთვე საქართველოს მთელ რიგ სხვა ქალაქთა საწარმოებში მომუშავე ქალებიც. ისინი ეხმარებიან თავიანთ ქმრებს, ძმებსა და მამებს მრეწველობის ხაზით მესამე ხუთწლედის დიად დავალებათა წარმატებით შესრულების საქმეში.

დღეს „კომუნისტში" ქვეყნდება თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონ - სარემონტო ქარხნის მუშა-ქალთა თათბირის მიმართვა საბჭოთა საქართველოს ყველა ქალისადმი; ბელადის სახელობის ქარხნის მუშა-ქალებმა, რომლებიც 28 სექტემბერს შეიკრიბნენ თავიანთ საერთო თათბირზე და მეტად საინტერესო საკითხები განიხილეს, — გადასწყვიტეს მოწოდებით მიემართნათ მუშათა და მოსამსახურეთა ყველა ცოლების, დების და ქალიშვილებისადმი, კოლმეურნე ქალებისა და საბჭოთა საქართველოს ყველა ქალისადმი. აი რას სწერენ ისინი თავიანთ მიმართვაში:

„ჩვენი მზარდი სოციალისტური მრეწველობა სულ უფროდაუფრო მეტ კადრებს მოითხოვს. ახალი საწარმოო კადრების მომზადებისათვის დაუშრეტელ რეზერვს წარმოადგენენ საბჭოთა ქალები.

ამხანაგო დიასახლისებო, მუშათა და მოსამსახურეთა ცოლებო, დებო და ქალიშვილებო! ამხანაგო კოლმეურნე ქალებო! ჩვენ მოგმართავთ თქვენ მოწოდებით: წადით სამუშაოდ ჩვენს ფაბრიკებსა და ქარხნებში".

ბელადის სახელობის ქარხნის მუშა ქალებს კარგად აქვთ შეგნებული თავიანთი ამოცანა. მათ იციან, რომ ჩვენი სოციალისტური მრეწველობა, რომელიც სულ უფროდაუფრო სწრაფად იზრდება, საჭიროებს მრავალრიცხოვან კადრებს. საბჭოთა ქალს, რომელსაც მინიჭებული აქვს მამაკაცის თანაბარი უფლებები, თუ კი მოისურვებს, შეუძლია სასწაულები მოახდინოს. განა ცოტაა ჩვენს ქვეყანაში შესანიშნავი მაგალითები საბჭოთა ქალების გმირობისა, მათი თავდადებულის და შესანიშნავი შრომისა სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა უბანზე.

ამჟამად მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადება მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ადგილობრივი ორგანოების არჩევნების ღირსეულად ჩატარებისათვის. ეს უდიდესი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში. საბჭოთა ხალხმა არჩევნების კამპანიის შესანიშნავი დღეები უნდა აღნიშნოს ბოლშევიკური საქმეებით, შრომის ნაყოფიერების მძლავრი აღმავლობით ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცებით.

ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა საქართველოს მოწინავე ქალები ერთსულოვნად გამოეხმაურებიან ბელადის სახელობის ქარხნის სტახანოველ ქალთა მოწოდებას, წავლენ მრეწველობაში სამუშაოდ და დიადი სტახანოვური შრომით კიდევ უფრო მდიდარს და უძლეველს გახდიან ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ ფონ-რიბენტროპის განცხადება საკდესის თანამშრომლისადმი

მოსკოვიდან გამგზავრების წინ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა ფონ-რიბენტროპმა შემდეგი განცხადება გაუკეთა საკდესის თანამშრომელს:

„მოსკოვში მე მოკლე ხანს დავყავი, სამწუხაროდ, მეტად მოკლე ხანს. შემდეგში ვიმედოვნებ—მეტ ხანს დავყოფ აქ. მიუხედავად ამისა ეს ორი დღე ჩვენ კარგად გამოვიყენეთ, გამორკვეულ იქნა შემდეგი:

1. გერმანია - საბჭოთა კავშირის მეგობრობა ახლა საბოლოოდ დამყარდა.

2. არცერთი მხარე არასოდეს არ დაუშვებს მესამე სახელმწიფოთა ჩარევას აღმოსავლეთ-ევროპის საკითხებში.

3. ორივე სახელმწიფოს სურს, რათა მშვიდობიანობა აღდგენილ იქნას და რათა ინგლისმა და საფრანგეთმა შესწყვიტონ აბსოლუტურად უაზრო და უპერსპექტივო ბრძოლა გერმანიის წინააღმდეგ.

4. მაგრამ თუ ამ ქვეყნებში ომის გამჩაღებლებმა გაიმარჯვეს, გერმანიასა და სსრ კავშირს ეცოდინებათ, თუ როგორ უპასუხონ ამას".

შემდეგ მინისტრმა აღნიშნა, რომ გუშინ გერმანიის მთავრობასა და სსრ კავშირის მთავრობას შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება ფართო ეკონომიური პროგრამის შესახებ, რომელიც სარგებლობას მოუტანს ორივე სახელმწიფოს.

დასასრულ ბ-ნმა ფონ-რიბენტროპმა განაცხადა: „მოლაპარაკება განსაკუთრებით მეგობრულ და საუცხოო ატმოსფეროში სწარმოებდა. მაგრამ უწინარეს ყოვლისა მე მინდა აღვნიშნო ის არაჩვეულებრივად გულითადი მიღება, რომელიც მოგვიწყეს საბჭოთა მთავრობამ და განსაკუთრებით ბ-ნმა სტალინმა და მოლოტოვმა" (საკდესი).

გ მ ი რ ი მ ე ს ა ზ ღ ვ რ ე ნ ი

დასავლეთი ბელორუსია, 28 სექტემბერი (საკდესი). თენდება. დღის სინათლე თანდათან მატულობს. ისეთი მყუდროებაა, რომ ფოთლის შრიალიც კი ისმის. მესაზღვრენი, რომელნიც არაფრით არ იმჩნევდნენ თავის შინაგან მღელვარებას, მოუთმენლად ელოდნენ სალაშქრო გასვლის მომენტს. მათ მოისმინეს საბრძოლო ბრძანება, კომისრის მგზნებარე სიტყვა.

მეომარი სემჩენკო მივიდა თავის მეგობართან, სნაიპერ ლონცოვთან და უთხრა:

— მოდი ერთმანეთს შევეჯიბროთ.

მათ ვერც კი მოასწრეს ნაჩქარევად შედგენილი სოციალისტური ხელშეკრულების ხელმოწერა, რომ კომკავშირულმა ორგანიზატორმა ყველანი კრებაზე მიიწვია. ბრძოლის წინ უნდა გაერჩიათ მესაზღვრე კაპკუნოვის განცხადება, რომელმაც მოისურვა მონაწილეობა მიეღო ბრძოლაში, როგორც ლენინურ-სტალინური კომკავშირის წევრს. ოთახიდან, სადაც კრება შესდგა, მეომრები ქუჩაში გამოვიდნენ, სწრაფად დაეწყვნენ, მიიღეს ვაზნები, ხელყუმბარები და გზას გაუდგნენ.

მესაზღვრეებს ელვისსისწრაფით ხელთ უნდა ეგდოთ და მოესპოთ მოწინააღმდეგის სადარაჯოები, გაეწმინდათ გზა წითელი არმიის საბრძოლო ოპერაციებისათვის.

17 სექტემბერს სრულ 5 საათზე საზღვარი უკან მოიტოვეს. მიწაზე გაწოლილი მეომრები სემჩენკო და ორი ზემდეგი მიცოცავდნენ, რათა თავიდან მოეშორებინათ პოლონელი გუშაგი. მოწინააღმდეგის სადარაჯოზე ძაღლმა დაიყეფა. სემჩენკო შეჩერდა, სუნთქვა შეანელა. ძაღლი მიყუჩდა. შენიღბული მეომრები კვლავ პოლონელი გუშაგისაკენ გაცოცდნენ. მანძილი მათ შორის ყოველ წამს მცირდებოდა.

20 მეტრი, 10, 5...

და იმ მომენტში, როცა სემჩენკო ფეხზე წამოდგა, შეშინებულ პოლონელ გუშაგს სამი მხრიდან შემოეხვივნენ.

სამ მამაც მესაზღვრეს უკან მიჰყვებოდა საბრძოლო წესით დაწყობილი მთელი დამკვრელი ჯგუფი. ძაღლი კვლავ აყეფდა, აყეფდა გამმაგებითა და დაჟინებით. მტრის სადარაჯოში ფაცი-ფუცი შეიქნა. ისმოდა როგორ გარბოდა ვიღაცა კოშკის საფეხურებზე.

მესაზღვრეთა მწკრივი უშუალოდ მიადგა საგუშაგოს ღობეს. მეთაურმა ხმამაღლა შესძახა:

— თქვენ გარშემორტყმული ხართ!.. წინააღმდეგობის გაწევა უსარგებლოა!.. დაგვნებდით!..

პასუხად ატკაცდა ტყვიამფრქვევი, გაისმა თოფის სროლა. დაიწყო გაცხარებული ბრძოლა. წითელარმიელები, რომლებსაც ტყვიას აყრიდა მოწინააღმდეგე, დუგლუგებით ამსხვრევდნენ ფანჯრის ჩარჩოებს, ამტვრევდნენ მძიმე კარებს, ხელყუმბარებს უშენდნენ სადარაჯოში მყოფთ. სნაიპერმა ლონცოვმა მარჯვე გასროლით ჩამოაგდო კოშკიდან მეტყვიამფრქვევე. სემჩენკო მიეპარა პოლონელთა ერთერთ ტყვიამფრქვევს და ხელყუმბარის მარჯვედ გასროლით მოსპო იგი.

შემდეგ სემჩენკო შევარდა საგუშაგოს კიბეზე და პირველი შეიჭრა დერეფანში. ტყვიითა და ხელყუმბარის ნამსხვრევით ორჯერ დაჭრილი იგი ბრძოლის ადგილს მაინც არ სტოვებდა.

მამაცურად და თავგანწირულად ეჭირა თავი წითელარმიელ გლობას. მან დაინახა, როგორ წაბორძიკდა და დაეცა დაჭრილი მეომარი ორლოვი. გლობამ მზრუნველურად წამოსწია მარცხენა ხელით დაჭრილი ამხანაგი, ხოლო მარჯვენა ხელით ხელყუმბარების სროლას განაგრძობდა. ექიმის თანაშემწე ხილინსკისთან ერთად მამაცმა მესაზღვრემ ორლოვი საფარში შეიყვანა და კვლავ ბრძოლაში გადაეშვა. აქ მან სროლა აუტეხა პოლონელ ჯარისკაცთა ჯგუფს და აიძულა ისინი ტყვედ ჩაბარებოდნენ.

პოლონელთა ერთერთ სადარაჯოს მახლობლად წითელარმიელთა ჯგუფს გარსშემოერტყა მოწინააღმდეგის მაშველი რაზმი. ჩვენი საყარაულო რაზმის უფროსი — უფროსი ლეიტენანტი ზემსკოვი წინ გაექანა და დაიძახა:

— იერიშზე! სამშობლოსათვის! სტალინისათვის!..

პოლონელთა ტყვიამ მძიმედ დასჭრა უფროსი ლეიტენანტი. მეთაურმა სძლია ტკივილს და გასცა ბრძანება გაერღვიათ ალყა, დაეკავებინათ საგუშაგოს შენობა, ხელში ჩაეგდოთ დოკუმენტები და გაენადგურებინათ მტერი.

მეთაურის პირადი მაგალითით აღფრთოვანებული მეომრები გადავიდნენ იერიშზე, უკუაქციეს პოლონელები და შეასრულეს საბრძოლო დავალება. ასეთივე ელვისებური დარტყმით აღებულ იქნა პოლონეთის სხვა მრავალი სადარაჯოც.

მთელ საზღვარზე ბრძოლა 25-30 წუთს გაგრძელდა. ამ უაღრესად მოკლე ხნის განმავლობაში საბჭოთა მესაზღვრეებმა საზღვარზე პოლონეთის ყველა სადარაჯო მოსპეს.

...მზე ამოდიოდა. იგი თავის პირველ სხივებს ჰფენდა მესაზღვრეებს, რომელნიც პირვანდელ პოზიციებზე ბრუნდებოდნენ. უშიშარ მეომრებს, რომლებმაც შეასრულეს თავიანთი საბრძოლო ამოცანა, შემოხვდნენ ძლევამოსილ ტალღად მომავალი სატანკო ნაწილები, ქვეითი ჯარი, კავალერია, არტილერიის ნაწილები. ჰაერში გუგუნებდნენ საბჭოთა თვითმფრინავების მოტორები.

დაიწყო თავისი სისწრაფით გაუგონარი ძლევამოსილი მარში წითელი არმიისა, რომელმაც დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მშრომელნი პანების უღლისაგან გაანთავისუფლა.

სამხედრო ეპიზოდები

I. ოთხი მამაცი

ისინი ოთხნი იყვნენ — სოციალისტური სამშობლოს გულადი და მამაცი შვილები — ტყვიამფრქვევის მეთაური ამხ. იარცევი, მემიზნე ამხ. საფონოვი, ამხ. ბობერი და ამ მცირე ჯგუფის სათავეში მყოფი ლეიტენანტი ამხ. ლუბკოვსკი. მათ მიიღეს დავალება: წადით დასაზვერავად და ზუსტი ცნობები მოგვიტანეთ მტრის განლაგების შესახებო.

ლეიტენანტი ამხ. ლუბკოვსკი შეხვდა მოწინააღმდეგის რაზმს, რომელიც რიცხვით აშკარად სჭარბობდა მზვერავთა ჯგუფს, და გადასწყვიტა დაეწყო ბრძოლა.

ოთხი კაცი შაშხანებითა და ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული 70 პოლონელი ჯარისკაცისა და ოფიცრის წინააღმდეგ.

გაიმართა ბრძოლა. დემორალიზებული მტერი დანებდა მამაც ოთხეულს.

ტყვეებთან ერთად ხელთ ვიგდეთ 200 შაშხანა, 8 ათასი ვაზნა, 2 ხელის ტყვიამფრქვევი, ერთი — დაზგისა, რადიოსადგური და სამზარეულო.

II. ბანდა განადგურებულია

დაზვერვამ მოიტანა ამბავი, რომ № ნაწილის მარშრუტის მახლობლად მდებარე სოფელში მოქმედებს პოლონელ ოფიცერთა და ჯარისკაცთა შეიარაღებული ბანდა 122 კაცის შემადგენლობით.

ბანდა ელოდა პოლონელი გენერლების მიერ დაპირებულ თვითმფრინავებს და ძარცვავდა მოსახლეობას, იმუქრებოდა უკრაინელთა სოფლის დაწვას.

ნაწილის მეთაურმა უმცროსი ლეიტენანტის ამხ. ვინოკურის ოცეულის წინაშე დასახა ბანდის მოსპობის ამოცანა. 10 წუთში ოცეულმა შეასრულა თავისი ამოცანა. ტყვედ არიან წამოყვანილი სამი უმაღლესი თანამდებობის სამხედრო პირი და 32 ოფიცერი. რიგითი ჯარისკაცები განვაიარაღეთ და შინ გავუშვით. განიარაღების დროს ჩამორთმეულია მრავალი შაშხანა, რამდენიმე ათასი ვაზნა, სხვადასხვა საჭურველი და ორი საზენიტო ტყვიამფრქვევი.

III. მებრძოლის მამაცობა

№ ნაწილმა საბრძოლო დავალების შესრულების დროს ქალაქი დასტოვა. მხედრები დასაზვერავად მიჰქროდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ სარდლობამ პირველი ცნობა მიიღო:

— ტყის განაპირებში დაგროვებულია მოწინააღმდეგის დიდი ძალები საბარგულიანად. ვიწყებ ბრძოლას.

ღამის სიჩუმე ტყვიამფრქვევის სროლამ დაარღვია. მტერი შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდა, მაგრამ მამაცმა მზვერავებმა სეტყვასავით დააყარეს ტყვია და ანადგურებდნენ მტერს. როდესაც ჩვენი მოწინავე ნაწილები მივიდნენ, მტერი უკვე განადგურებული იყო.

ბრძოლის დროს პოლონელთა მებარგულები ტყეში დაიმალნენ. მათ შეხვდა წითელარმიელი დიმიტრი დუხი. იგი თავის ნაწილში მიდიოდა და ცხენის თქარათქური შემოესმა. წითელარმიელი ბუჩქებში ჩაწვა და ბრძოლისათვის მოემზადა. მალე გამოჩნდნენ მოწინააღმდეგის მებარგულები.

— ადგილიდან არ დაიძრათ! — ხმამაღლა შესძახა ამხ. დუხმა. — ხელები მაღლა!

თავის სიტყვებს წითელარმიელმა სროლა მიაყოლა. შეშინებული პოლონელები დანებდნენ.

— [illegible]

„ჩვენ მივიღეთ ადამიანური ცხოვრების უფლება"

სოფელი მიშკოვიჩი (დასავლეთი უკრაინა), 28 სექტემბერი (საკდესი). სოფელ მიშკოვიჩში 400-მდე კომლი და 2 ათასი მორგენი მიწაა. მიწის ნახევარი — ათასი მორგენი — პანა მარიამ ჟილინსკაიას ეკუთვნოდა. ნაღვლიანად იგონებენ ამას უმიწაწყლო გლეხები.

— წელსაც კი მოვიწიე პური მემამულისათვის, — გვიამბობს მოჯამაგირე ემელიანე კინდერსკი. — თორმეტ ძნაში თერთმეტი მას, ერთი მე. გარდა ამისა, რამდენიმე დღე მუქთად უნდა მემუშავნა. რა ძნელი იყო ოჯახის გამოკვება ასეთი შემოსავლით.

— ჩემი ოჯახი ხუთი სულისაგან შესდგება — მოგვითხრობს მოჯამაგირე ანტონ ციუნიკი, — შრომისუნარიანი კი მარტო მე ვარ. ყოველ წელიწადს მემამულეს ვუდგებოდი სამუშაოდ განსაზღვრული ვადით. ვმუშაობდი დაუსვენებლივ, უქმე დღეებშიც კი და კატორღული შრომისათვის 15 ზლოტს ვიღებდი თვეში. თოთხმეტი წელი მემამულე იუსკოსათვის ვიმუშავე, დამუშავებული მაქვს ყოველი მტკაველი მისი მიწა და მაინც ვერ მოვიგე პანის გული. ამას წინათ მან დამითხოვა. და ეს ერთადერთი მცირე შემოსავალიც დამეკარგა.

სოფელი ახლებურად იწყებს [illegible]

დასავლეთი ბელორუსია. უფროსი პოლიტხელმძღვანელი გ. გილმანოვი ესაუბრება სოფ. დუბოვიცის გლეხებს.
ფოტო ფ. ლევშინისა (საკდესის ფოტო-კლიშე).

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების ჩაბარება

27 სექტემბერს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა ორდენები და მედლები ჩააბარა დაჯილდოებულთ.

ორდენები და მედლები ჩაბარდათ სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ორგანიზატორების, მშენებლებისა და გამფორმებლების დიდ ჯგუფს, რომელთაც განსაკუთრებულად გამოიჩინეს თავი; დაჯილდოება მოხდა გამოფენის მშენებლობის სამუშაოთა წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით.

დაჯილდოებულთა შორის არიან: არქიტექტორები და მხატვრები, მოქანდაკეები და ორნამენტის სახალხო ოსტატები, სტახანოველი მშენებლები და მეცნიერები, ინჟინრები და ტექნიკოსები, აგრონომები და ზოოტექნიკოსები, პავილიონების დირექტორები, გამოფენის ცალკეული უბნების ბრიგადირები.

დაჯილდოებულთა კოლექტივის სახელით სიტყვა წარმოსთქვეს: ამხ. ს. ე. ჩერნიშევმა, პ. მ. სტრელიაბინმა და ნ. ვ. ციცინმა.

გამოფენის ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა ნ. ვ. ციცინმა განაცხადა:

— კოლექტივმა უკვე საქმით გამოიჩინა თავი. ვფიქრობ, რომ 1940 წელს ჩვენი გამოფენა უფრო ბრწყინვალე და უფრო მდიდარი იქნება.

შემდეგ ჯილდოებს საბრძოლო ამოცანათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, მამაცობისა და ვაჟკაცობისათვის, რაც მათ გამოიჩინეს ხასანის ტბის რაიონის დაცვის დროს, იღებს წითელი არმიის მებრძოლთა და მეთაურთა ჯგუფი. ორდენები და მედლები ჩაბარდათ აგრეთვე მთელ რიგ დაჯილდოებულ სამხედრო მუშაკებს. მათი სახელით სიტყვა წარმოსთქვა ბრიგადის კომისარმა ამხ. ი. ტ. ჩერნიშევმა.

მთავრობის დავალებათა ჩინებულად და ვადამდე შესრულებისათვის მრეწველობის განსაკუთრებული ობიექტების მშენებლობის დარგში ჯილდოებს იღებენ: ამხანაგები — გ. მ. ორლოვი, ნ. ა. ბარანოვი, მ. ი. დუროვინი და განსაკუთრებულ მშენებლობათა სხვა მუშაკები. დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდა ამხ. გ. მ. ორლოვი, რომელმაც მადლობა გამოსთქვა მაღალი ჯილდოსათვის და პირობა დასდო, რომ კოლექტივი ვადამდე შეასრულებს პარტიისა და მთავრობის ყოველ დავალებას.

ორდენებისა და მედლების გადაცემის შემდეგ მოკლე სიტყვით გამოვიდა ამხ. მ. ი. კალინინი.

— სანამ სასოფლო-სამეურნეო გამოფენას ნახავდეს, — სთქვა ამხ. კალინინმა, — თვითეულ დამთვალიერებელს იმედი აქვს, რომ იქ ბევრ ძვირფასსა და მშვენიერ რამეს შეხვდება. და პირდაპირ უნდა ითქვას, რომ გამოფენაზე ისინი გაცილებით მეტ მშვენიერ რამეს ნახულობენ ვიდრე ეგონათ. **(ტაში).**

ეს ძალიან დიდი სტიმულია გამოფენის ყველა მშენებლისათვის, — გამოფენა ხომ მშრომელთა მილიონიანმა მასებმა ნახეს და ისინი სრულ კმაყოფილებას გამოსთქვამდნენ გამოფენის გამო. ეს იმას ნიშნავს, რომ საქმე გაკეთებულია თუ „ფრიადზე" არა, ყოველ შემთხვევაში „კარგზე" მაინც. **(ერთსულოვანი ტაში).**

მე ვფიქრობ, — ამბობს ამხ. კალინინი, — რომ გამოფენა წარმოადგენს ჩვენი ხელოვნების მნიშვნელოვან მიღწევას როგორც ყველა მის დარგში, ისე ჩვენი საბჭოთა ადამიანების ორგანიზაციული უნარიანობის მხრივ. რასაკვირველია, ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა გვჭირდება, რომ გამოფენა იდეალური გავხადოთ, მაგრამ ის მიღწევები, რომლებიც გვაქვს, ძალიან მაღალი დონისაა. ყოველ შემთხვევაში, მე ვფიქრობ, რომ მსოფლიოში ასეთი გამოფენა არ ყოფილა. და ეს გასაგებიც არის, რადგან ლპობადს კაპიტალიზმს არ შეუძლია მისცეს კაცობრიობას რაიმე ახალი, მაშინ როდესაც ახალგაზრდა სოციალისტური წყობილება ალსავსეა შემოქმედებითი ძალებით, რომლებიც სულ უფრო მეტი სიმძლავრით ვანვითარდება.

ამჟამად ჩვენ პირველ ნაბიჯებს ვაკეთებთ. მიუხედავად ამისა, სოციალიზმმა უკვე გაუსწრო კაპიტალიზმს მრავალ დარგში. ხოლო რაოდენ გაიშლება სოციალიზმი, როდესაც იგი მძლავრ სიმწიფეს მიაღწევს! უნდა ვიფიქროთ, რომ კომუნისტური წყობილების დროს ხალხის მასების შემოქმედებითი ძალები მართლაც იმ ზომამდე გაიშლება, რასაც ამჟამად ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენთ.

ნება მიბოძეთ გისურვოთ, რომ სასოფლო - სამეურნეო გამოფენამ მაქსიმალური შედეგები მოიპოვოს სოფლის მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში, ხელოვნებისა და ორგანიზაციული უნარიანობის განვითარებაში, ერთი სიტყვით, სოციალისტური მშენებლობისა და სოციალისტური აზრის განვითარებაში. **(მქუხარე ტაში).**

დასასრულ ამხ. მ. ი. კალინინმა დაჯილდოებულთ უსურვა ახალ-ახალი, კიდევ მეტი წარმატებანი მათს შემდგომ მუშაობაში. (საკდესი).

სსრკ მეცნიერებათა აკადემიაში

28 სექტემბერს, საღამოს, გაიხსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ფილოსოფიის განყოფილების მორიგი კრება. კრებას დაესწრნენ აკადემიკოსები, წევრი - კორესპონდენტები, ინსტიტუტთა დირექტორები, მოსკოვის, ლენინგრადისა და სხვა ქალაქების მეცნიერი მუშაკები.

კრებამ მოისმინა ორი მოხსენება: აკადემიკოს ემ. იაროსლავსკისა — „საისტორიო ფრონტის უმნიშვნელოვანესი მორიგი ამოცანები", მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტის პ. ფ. იუდინისა — „ამხანაგ სტალინის ნაშრომი „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ" და მორიგი ამოცანები მარქსიზმ - ლენინიზმის ფილოსოფიის დარგში".

29 სექტემბერს მეცნიერებათა აკადემიის წევრი - კორესპონდენტი ვ. ი. პიჩეტა კრებაზე მოხსენებით გამოვა შემდეგ თემაზე: „დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ისტორიული ბედი". (საკდესი).

ნ. გ. ჩერნიშევსკის გარდაცვალების 50 წლისთავის წინ

28 სექტემბერს შესდგა ნ. გ. ჩერნიშევსკის გარდაცვალების 50 წლისთავის დღესასწაულობის მომწყობი საიუბილეო კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა. დიდი რუსი მწერლისა და რევოლუციონერის ხსოვნას მიეძღვნება გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის სპეციალური სესია, ეწყობა მოხსენებათა სერია ჩერნიშევსკის ფილოსოფიურ, ისტორიულ და ეკონომიურ შეხედულებათა შესახებ, უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში გაიმართება საღამოები და დილები.

ჭარბი პური სახელმწიფოს

ელისტა, 28 სექტემბერი (საკდესი). ყალმუხეთის კოლმეურნეობებმა წელს მარცვლეულის უხვი მოსავალი აიღეს. მათ ვადაზე 2 თვით ადრე შეასრულეს პურის ჩაბარების გეგმა და ჭარბ პურს სახელმწიფოს მიჰყიდიან ხოლმე. რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციამ უკვე შეისყიდა 73.740 ცენტნერი მარცვალი.

ქ რ ო ნ ი კ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ა. ი. ლავრენტიევი დანიშნა სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად ბულგარეთში. (საკდესი).

○

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაამტკიცა გეოლოგიის საქმეთა კომიტეტი სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან. კომიტეტში შედიან ამხანაგები: ი. ი. მალიშევი (თავმჯდომარე), ი. ფ. გრიგორიევი (თავმჯდომარის პირველი მოადგილე), ს. ს. სმირნოვი (თავმჯდომარის მოადგილე), პ. ა. ბორისოვი (თავმჯდომარის მოადგილე კადრების დარგში), ვ. ა. ობრუჩევი, პ. ი. სტეპანოვი, გ. ვ. ბოგომოლოვი, ნ. ა. ბიხოვერი და ვ. ფ. სამოილოვი. (საკდესი).

საბჭოთა მეურნეობებში ჩაის კრეფის გეგმა შესრულებულია

29 სექტემბრისათვის საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმა შეასრულეს 100,2 პროცენტით. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10.827 ტონისა მოჰკრიფეს 10.853,7 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. აქედან „საქართველოს თაიგული" მოკრეფილია 7,8 ტონა, პირველი ხარისხის ფოთოლი—7.528,6 (69,4 პროც.), მეორე ხარისხისა — 1.519,7 (14 პროც.) და მესამე ხარისხისა — 1.797,6 ტონა (16,6 პროც.).

ჩაის ფოთლის კრეფა გრძელდება.

საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის დირექტორი
მ. ნარსია

დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში

გროდნოსათვის ბრძოლაში

გროდნო, 26 სექტემბერი (საკდესი). ქალაქი განთიადის ბურუსში იყო გახვეული, როცა ჩვენი ტანკების რგოლი დაზვერვის შემდეგ შევიდა ქალაქის გარეუბანში. წინ მოჩანდა თუჯის ხიდი, რომელიც გარეუბანს ქალაქთან აერთებს. მეწინავე მანქანასთან მალვით მიირბინა ბავშვმა. მან წასჩურჩულა მეთაურს: „ხიდქვეშ ყუმბარებია შედებული“. მეთაური გამოვიდა მანქანიდან და ხიდისაკენ გაემართა. ხიდი დანაღმული აღმოჩნდა.

ნაღმებისაგან ხიდის გაწმენდა დაევალა მესანგრეთა იმ ასეულის მამაც მეომრებს, რომლის მეთაურია ლეიტენანტი ხოვრინი. ასეული დაუყოვნებლივ შეუდგა მუშაობას. დაავალა რა მეომრებს ცალკეული რგოლების გაწმენდა, ამხ. ხოვრინი თვითონ გაემართა ხიდის შუა ნაწილისაკენ. იგი ცალი ხელით ჩამოეკიდა სამაგრებს, მეორე ხელით კი იწყო ნაღმების გამოღება თუჯის ფილებქვეშ. უეცრად ატყდა ტყვიამფრქვევის სროლა. ტყვიები თუჯს ხვდებოდა, მაგრამ ასეული მტკიცედ განაგრძობდა საბრძოლო დავალების შესრულებას. რამდენიმე წუთის შემდეგ ამხ. ხოვრინმა გამოიღო უკანასკნელი ნაღმი. ტანკები დაიძრნენ ქალაქისაკენ. მათ მიჰყვა ქვეითი ჯარი.

შენობათა ზედა სართულებიდან ტყვიამფრქვევები გააფთრებით უშენდნენ ხიდს, რაც ხელს უშლიდა ჩვენი მეომრების შესვლას ქალაქში. მაშინ დაიწყო ქვეითი ნაწილების ნავებით გადაყვანა მდინარე ნემანზე. ნაპირიდან დაძრული ნავის შესახვედრად მეორე ნაპირიდან გამოემართა პატარა ნავი. მასში იჯდა გროდნოს მუშა ამხ. სტანისლავოვი და მისი ცოლი ქსენია. მათ უჩვენეს წითელ ჯარს ყველაზე უფრო მოხერხებული ადგილები მეორე ნაპირზე გადასასვლელად და, გრიგალისებური ცეცხლის მიუხედავად, თვითონ გადაჰყავდათ მეომრები.

ქსენია საჭესთან იჯდა. ნავი მშვიდობით გასცდა მორევს და ნაპირს უახლოვდებოდა. ამ დროს მტრის ტყვიამ იმსხვერპლა ქსენია. მეომრებმა მზრუნველობით აიყვანეს იგი და ფრთხილად დაასვენეს ნავის ფსკერზე. სიკვდილის წინ მან სთქვა: — ძვირფასო ამხანაგებო, ვწუხვარ, რომ ვეღარ შევძლებ თქვენთან ერთად ვიდღესასწაულო სასიხარულო დღეები. იცოდეთ, რომ ქალაქში თქვენ მოუთმენლად მიგელით ათასობით ბელორუსი დედები, რომელთაც სურთ ახლებურად, თავისუფლად იცხოვრონ.

მეომრებმა ქსენიას ცხედარი გადაიტანეს ქვიშიან ნაპირზე. ამხ. სტანისლავოვს არ დაუტოვებია ნავი. იგი განაგრძობდა მეომრების გადაყვანას, ხოლო როცა გადაყვანა დამთავრდა, წითელარმიელებთან ერთად ხელყუმბარით გაემართა ოფიცერთა ბანდების ნაშთებისაგან ქალაქის გასანთავისუფლებლად.

პოლონელი ოფიცრები, რომლებმაც მშრომელნი სარდაფებში ჩარეკეს და მათი სახლები დაიკავეს, გააფთრებით ისროდნენ. მეთაურ ზუენკოს ტანკი შეუფერხებლივ მუშაობდა, დაუზოგავად ანადგურებდა მოწინააღმდეგის საბრძოლო წერტებს.

ბრძოლის ბედი გადასწყვიტა სახელოვანმა ქვეითმა ჯარმა. იგი სწრაფად მიიწევდა წინ და საბოლოოდ განდევნა პოლონელი ოფიცრები მათი პოზიციებიდან. დიდი სტალინის სახელით გაეშურნენ მეომრები და მეთაურები წინ და უკუაქციეს მოწინააღმდეგე.

ქვეითს ჯარს შეუერთდნენ მუშები და იარაღით ხელში იბრძოდნენ თავის მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

მამაც განმათავისუფლებლებს აღფრთოვანებული შეხვედრა გაუმართეს. მშრომელნი გამოვიდნენ ქუჩებში, რათა მისალმებოდნენ გმირ წითელ მეომრებს, რომლებმაც მათ მოუტანეს პანების უღლისაგან განთავისუფლება.

ხიდი მდინარე ზბრუჩზე

გუსიატინი, 27 სექტემბერი (საკდესი). 20 წლის განმავლობაში უკრაინის დაბა გუსიატინი ორად იყო გაყოფილი. მდინარე ზბრუჩი აქ ორი მსოფლიოს საზღვარი იყო. მარჯვენა ნაპირის მცხოვრებლები პოლონეთის უღელქვეშ იმყოფებოდნენ. საბჭოთა ნაპირზე გაშლილია საკოლმეურნეო სოფელი.

საზღვარზე წითელი არმიის ნაწილების გადასვლის მეორე დღეს, კოლმეურნეები და დასავლეთი უკრაინის ახლომდებარე სოფლების მცხოვრებლები შეუდგნენ მდინარე ზბრუჩზე ხიდის აგებას. მუშაობა შეთანხმებულად და ორგანიზებულად მიმდინარეობდა.

ხიდი ახლა აშენებულია.

— ამ ხიდმა, — განაცხადა მიტინგზე დაბა გუსიატინის დროებითი მმართველობის თავმჯდომარემ ამხ. იარემენკომ, — სამუდამოდ შეაერთა დასავლეთ უკრაინის ხალხები საბჭოთა კავშირში მცხოვრებ მათს ძმებთან. ჩვენ წავალთ მათთან ერთად პირდაპირი გზით ბედნიერი, ხალისიანი ცხოვრებისაკენ.

დასავლეთი უკრაინის სოფლების მცხოვრებლები ამხ. ფურმანი, იავნიკი, სტოიკი და სხვები, აგრეთვე ჩემეროვეცკის რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეები დაჯილდოებული არიან ხიდის მშენებლობაში სანიმუშო მუშაობისათვის.

მწერლები და პოეტები დასავლეთ უკრაინაში გაემგზავრნენ

27 სექტემბერს კიევიდან დასავლეთ უკრაინაში გაემგზავრნენ უკრაინელი მწერლები და პოეტები: ამხ. ნ. პ. ბაჟანი, მ. ს. ტარდოვი, ა. ს. მალიშკო, ა. ი. შიანი და ნ. ს. რიბაკი.

მამაცი ტანკისტები

დასავლეთი ბელორუსია, 27 სექტემბერი (საკდესი). გვიან საღამოს, ის-ის იყო დამთავრებული ტაქტიკური ვარჯიშობის გარჩევისას, — № ნაწილის მეთაურმა მტკიცედ განაცხადა:

— აი ასე, გამანადგურებელ ზვავივით მიაწევებიან ჩვენი მანქანები მტერს, აღგვიან და მოსპობენ ყველა დაბრკოლებას.

ეს იყო ივნისში, ნაწილის საზაფხულო ბანაკში.

... ჩვიდმეტ სექტემბერს ტანკისტებმა პოლონეთის საზღვარი გადალახეს. წითელ ცხენოსან, ქვეით და სხვა ჯართან ურთიერთმოქმედებაში მათ მოახდინეს სისწრაფითა და სიღრმით უმაგალითო მარში. ტანკებს თავისი სიმძლავრითა და მანევრირებით მტრის რიგებში საშინელება შეჰქონდათ, თავზარსა სცემდნენ მათ. ბრძოლის მონაწილენი მოგვითხრობდნენ — საკმაო იყო მარტო შეძახება „ტანკი!“ და პოლონეთის ჯარის ნაწილები აქეთ-იქით გარბოდნენ, იარაღს ჰყრიდნენ და ტყვედ გვნებდებოდნენ.

ამ გამარჯვებულ მარშის დროს მრავალმა ტანკისტმა გამოიჩინა თავი, როგორც უშიშარმა გმირმა, სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტმა. ნაწილის მეთაურებს, პოლიტხელებს, კომუნისტებსა და კომკავშირელებს პირადი ვაჟკაცობით არაერთხელ გაუყოლიებიათ თან მებრძოლნი და ჩინებულად დაუგვირგვინებიათ ბრძოლა.

ქალაქის მისავალში მტერი გრიგალისებური ცეცხლით ცდილობდა ჩვენი ნაწილების წინსვლის შეჩერებას. მტერმა ცეცხლი გაუჩინა ხიდს და ემზადებოდა მის ასაფეთქებლად უკან დახევის შემთხვევაში. მაშინ სარდლობამ ბრძანება მისცა ტანკისტებს გაევლოთ მტრის მიერ დაკავებული ქალაქი და არ დაენებებინათ პოლონელებისათვის ხიდის აფეთქება. ქვედანაყოფი დაიძრა. მეწინავე მანქანაში ნაწილის კომისარი ამხ. ბოგომოლოვი იჯდა. ტანკების ჯავშანზე ტყვიას ტკაცანი გაუდიოდა. კომისარი მტერს უთვალთვალებდა და წამყვანთა და მსროლელთა ცეცხლსა და მოქმედებას ხელმძღვანელობდა. ტანკს უშენდნენ ყოველი მხრიდან — სხვენებიდან, ფანჯრებიდან. კომისარი ხედავდა, თუ როგორ ელვარებდნენ მზეზე პოლონელი ჯარისკაცების შაშხანის ლულები, ოფიცერთა ქუდების — კონფედერატულების სპილენძის წინაფრები. მაგრამ მას მტკიცედ მიჰყავდა ტანკები ქალაქში ცეცხლმოკიდებულ ხიდისაკენ.

მტრის ტყვიამ დასჭრა მანქანის წამყვანი კომკავშირელი სალნიკოვი, მაგრამ ტანკი, რომელზედაც კომისარი იმყოფებოდა, გაბედულად მიდიოდა წინ — კომკავშირელს საჭე არ მიუტოვებია. მტერი კვლავ უშენდა ტანკებს. მალე ტანკებმა ქალაქი უკან მოიტოვეს და ხიდისაკენ გაიჭრნენ. ცეცხლში ამხ. ბოგომოლოვი პირველი გადავიდა მანქანიდან და მებრძოლებთან ერთად ხანძარი სწრაფად ჩააქრო. ხიდი გადაარჩინეს, მტერს უკანდასახევი გზა გადაუჭრეს. მრისხანე მანქანებმა შესანიშნავად შეასრულეს საბრძოლო დავალება.

არანაკლები ვაჟკაცობა და მამაცობა გამოიჩინა ოცეულის მეთაურმა ტანკისტმა ამხ. სედინმა. სოფელ ბარსუკთან ბრძოლაში მისი მანქანა მოულოდნელად გაჩერდა. ბენზინი გაუთავდა. ამხ. სედინი არ დაიბნა, ტანკიდან გადმოვიდა და საწვავის ჩასხმას შეუდგა. ირგვლივ ტყვია ზუზუნებდა და ყუმბარები სკდებოდა. ოცეულის მეთაურმა მანქანა მოამართა და მტერს ეკვეთა. მტერმა იერიშს ვერ გაუძლო და იძულებული იყო ტყვედ დანებებულიყო.

მდინარე ვილეიკის ხიდთან ქვედანაყოფის მეთაურმა ამხ. მატუსკოვმა და უმცროსმა მეთაურმა ამხ. ივანოვმა ორი მანქანით გაუმართეს ბრძოლა ოფიცრების ნარჩენ ჯგუფს, რომელსაც ჰყავდა 600 მეომარი, ჰქონდა ორი ქვემეხი და რამდენიმე ტყვიამფრქვევი. წითელმა მეთაურებმა ამხ. მატუსკოვმა და ივანოვმა და მისაშველებლად მისულმა მეორე ქვედანაყოფის მეთაურმა ამხ. ზაზიმკომ და სამხედრო კომისარმა ამხ. ანდრიანოვმა მტერი განდევნეს ვილნოდან ჩრდილო-დასავლეთით, შემოუარეს მის განლაგებასა და სწრაფი იერიშით გაანადგურეს იგი, თანაც ტყვედ წამოიყვანეს 225 კაცი.

თვით ვილნოში უკვე მას შემდეგ, რაც წითელი არმიის ნაწილებმა ქალაქი დაიკავეს, ერთერთ მდიდარ სახლში ჩასაფრებულმა ოფიცერთა ბანდის ნაშთებმა ტყვია დაუშინეს წითელარმიელებს. ტანკები ზედ სახლთან მივიდნენ. სარდლობამ წინადადება მისცა ბანდიტებს დანებებულიყვნენ. ოფიცრებმა ავტომატის სროლით უპასუხეს. მაშინ მეთაურებმა მანქანების კოშკურები ფანჯრებისაკენ მიაბრუნეს და რამდენიმე ბათქი მისცეს. როგორც კი კვამლი გაიფანტა, ტანკისტებმა დაინახეს თეთრი ბაირაღი, რომელიც უხეირო მეომრებს აღემართათ.

მტერთან ყველა შეტაკებასა და ბრძოლაში ჩვენი შესანიშნავი ტანკისტები მუდამ იჩენდნენ ვაჟკაცობას, მამაცობას, გმირობასა და მოსაზრებულობას.

საბჭოთა მწერლების შეხვედრა ბელოსტოკის ინტელიგენციასთან

ბელოსტოკი, 28 სექტემბერი (საკდესი). ბელოსტოკის ინტელიგენციის ათასზე მეტი წარმომადგენელი შეიკრიბა ლიტერატურულ საღამოზე საბჭოთა მწერლებთან შესახვედრად. მხატვრებმა, მასწავლებლებმა, ექიმებმა გაავსეს ქალაქის თეატრის ვრცელი დარბაზი.

შეკრებილნი ტაშით შეეგებნენ საბჭოთა მწერლების ილიენკოვის, ისბახის, ლინკოვისა და სლესარევის გამოჩენას პრეზიდიუმში. მწერლებს ყვავილების დიდი თაიგულები მიართვეს.

როდესაც ამხ. ისბახმა საღამოს გახსნისას ამხანაგ სტალინის სახელი ახსენა, ყველანი ფეხზე ადგნენ. დიდხანს არ შეწყვეტილა მისასალმებელი შეძახილები ხალხთა დიდი ბელადის პატივსაცემად.

ილაპარაკა რა საბჭოთა ლიტერატურის შესახებ, ამხ. ისბახმა დაასახელა საუკეთესო საბჭოთა მწერლები, რომელთაც შეჰქმნეს სტალინის ეპოქის შესაფერი ნაწარმოებნი.

— მაიაკოვსკის, ტოლსტოის, შოლოხოვის სახელები ცნობილია ბელოსტოკის მშრომელთათვის ისე, როგორც რუსული ლიტერატურის კლასიკოსთა სახელები, — განაცხადა ამხ. ისბახმა. — და საბჭოთა ლიტერატურის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ იგი არის ლიტერატურა განმათავისუფლებელი ხალხისა, რომელმაც სწორუპოვარი სოციალისტური კულტურა შექმნა.

ბელორუსმა მწერალმა — ორდენოსანმა ამხ. მიხას ლინკოვმა ბელოსტოკის მშრომელ ბელორუსებს, ებრაელებსა და პოლონელებს სალამი გადასცა ქალაქ მინსკისა და მთელი საბჭოთა ბელორუსიის მუშებისა და ინტელიგენციისაგან.

— აი უკვე რამდენიმე დღეა, რაც ჩვენ ამ დიდ ბელორუსულ ქალაქში ვცხოვრობთ, — სთქვა ამხ. ლინკოვმა. — ჩვენ აქ ვნახეთ ლამაზი სახლები, პარკები და პატარა ბაღები ქალაქის ცენტრში და განზე გადახრილი სახლები გარეუბნებში. მაგრამ, ჩვენ არ გვინახავს არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი. ასეთები აქ არ მოიპოვება. მაგრამ გაივლის მცირეოდენი დრო და ქალაქის ახალგაზრდობა დაიწყებს სწავლას თავის ინსტიტუტებში. მშობლიური ბელორუსი ხალხი თავის მშობლიურ მიწაზე შექმნის თავის კულტურას, გამარჯვებული ხალხის კულტურას.

მწერლებმა ამხ. ილენკოვმა და ისბახმა წაიკითხეს თავიანთი ნაწარმოები, აგრეთვე ბელორუსიის ფრონტზე მყოფი პოეტების ამხ. კირსანოვისა და დოლმატოვსკის ლექსები. წითელარმიელმა პოეტმა ამხ. სლესარევმა თავისი გამოსვლა დაამთავრა ლექსით, რომელიც მან ბელოსტოკში დაწერა.

მქუხარე ოვაციებით შეხვდნენ დამსწრენი სიტყვებს:

Пой же песню легко и широко,
Вольный брат, в этот радостный час,
Чтоб она от полей Белостока
Ваш привет до Москвы донесла.

ხელოვნების მუშაკები—დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მოძმე ხალხებს

28 სექტემბერს კომინტერნის სახელობის რადიოსადგურიდან, ლენინგრადის, კიევისა და მინსკის მოკლეტალღიანი გადამცემებიდან და რადიოსადგურებიდან ტრანსლირებულ იქნა დიდი რადიოკონცერტი დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მშრომელთათვის. მოსკოვის სატელევიზიო ცენტრის სტუდიაში დასავლეთ უკრაინელებისა და ბელორუსებისადმი მისალმებით გამოვიდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი პროფ. ა. ვ. ალექსანდროვი.

კონცერტი დაიწყო სსრ კავშირის წითელარმიული სიმღერისა და ცეკვის წითელდროშოვანი ანსამბლის გამოსვლით, რომელმაც ენტუზიაზმით შეასრულა „ბოლშევიკების პარტიის ჰიმნი“. დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის რადიომსმენელნი გაეცნენ ბელორუსულ და რუსულ ხალხურ სიმღერებს ანსამბლის ოსტატური შესრულებით. ორდენოსანმა პოეტმა პერეც მარკიშმა წაიკითხა თავისი ლექსი „დასავლეთი უკრაინა“, შემდეგ გადაცემულ იქნა კომპოზიტორ მ. კოვალის ახალი სიმღერა — „სიმღერა დასავლეთელ ძმებზე“.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს დედაქალაქის სასცენო ხელოვნების გამოჩენილმა წარმომადგენლებმა. (საკდესი).

დასრულდა საქართველოს საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობა

28 სექტემბრის საღამოს სხდომაზე დაიწყო მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები. დამთვლელ კომისიაში ყრილობამ აირჩია ამხანაგები ლ. მეტრეველი, ს. ფაშალიშვილი, პ. კეშელავა, შ. აფხაიძე, გ. აბაშიძე, მ. გარიყული და ბ. ჩხეიძე. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 103 მწერალმა. 29 სექტემბერს დილის სხდომაზე დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ლ. მეტრეველმა გამოაქვეყნა დახურული (ფარული) კენჭისყრის შედეგები.

მწერალთა კავშირის გამგეობაში არჩეული არიან შემდეგი ამხანაგები: **ლ. ქიაჩელი, ი. გრიშაშვილი, შ. დადიანი, ვ. გაფრინდაშვილი, გ. ტაბიძე, ა. აბაშელი, ს. ჩიქოვანი, რ. გვეტაძე, გ. ქიქოძე, ს. შანშიაშვილი, შ. რადიანი, პ. ინგოროყვა, ნ. ნაკაშიძე, გ. ლეონიძე, ს. კლდიაშვილი, ი. აბაშიძე, ლ. კვიწინია, ხ. პლიევი, დ. შენგელაია, ს. ეული, მარიჯანი, ი. მოსაშვილი, პ. ლორია, კ. ლორთქიფანიძე, ა. გომიაშვილი, დ. ბენაშვილი და ბ. ჟღენტი.** ლიტფონდის გამგეობაში აირჩიეს: ამხანაგები **კ. კალაძე, ი. მოსაშვილი, ა. ქუთათელი, რ. ქორქია, ს. ეული, გ. კაჭახიძე და ლ. ქიაჩელი.** სარევიზიო კომისიაში არჩეული არიან ამხანაგები: **ი. ლისაშვილი, დ. სულიაშვილი, ი. ვაკელი, ვ. გორგაძე და შ. აფხაიძე.**

შემდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლუციები მწერალთა კავშირის გამგეობის და ლიტფონდის მუშაობის შესახებ. წარმატებითი მუშაობისათვის ყრილობამ დაადგინა დააჯილდოვოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. დ. სულიაშვილი, ლიტფონდის დირექტორი ამხ. ი. მოსაშვილი და „ფედერაციის“ დირექტორი ამხ. რ. გვეტაძე.

ამით დასრულდა საქართველოს საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობის მუშაობა.

მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი პლენუმი

29 სექტემბერს შესდგა საქართველოს საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობის მიერ არჩეული გამგეობის პირველი პლენუმი.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ი. თავაძემ, ა. ფადეევმა, შ. დადიანმა და ს. ეულმა, გამგეობამ ერთხმად აირჩია პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: **ი. აბაშიძე, შ. დადიანი, ლ. ქიაჩელი, ი. მოსაშვილი, ს. ჩიქოვანი, ს. ეული, შ. რადიანი, ლ. კვიწინია და ხ. პლიევი.** მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის პასუხისმგებელ მდივნად გამგეობამ ერთხმად აირჩია ორდენოსანი პოეტი ამხ. **ირაკლი აბაშიძე.**

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. **ი. აბაშიძე.**

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის პირველი სესია

მესამე დღე

გუშინ საღამოს მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობაში მიმდინარეობდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის პირველი სესიის ჰუმანიტარულ, ფიზიკა-მათემატიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ მეცნიერებათა სექციების მორიგი სხდომები.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სექციის სხდომაზე, მოსმენილ იქნა სამი მოხსენება. პროფ. გ. ნიორაძემ გააკეთა მოხსენება თემაზე — „აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის არქეოლოგიურ სამუშაოთა შესახებ“. პროფ. ს. ჯანაშიამ — „ქართული პატრონ-ყმობის ბუნებისა და წარმოშობის საკითხისათვის“. მესამე მოხსენება გააკეთა უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა გ. ჩიტაიამ თემაზე — „სიცოცხლის ხის“ მოტივი ჭანურ (ლაზურ) ორნამენტში“.

ფიზიკა-მათემატიკური სექციის სხდომაზე მოხსენებები გააკეთეს პროფ. ვ. კუპრაძემ — „რეზოლვენტის თეორიის ახალი გამოყენებანი ინტეგრალურ განტოლებათა თეორიაში და პოტენციალის თეორიის სასაზღვრო ამოცანებში“. მანვე გააკეთა მათემატიკური ინსტიტუტის სამეცნიერო მუშაობის ზოგიერთი დარგის მიმოხილვა. თანამოხსენებით გამოვიდნენ დოცენტი ი. ვეკუა — „მეორე რიგის ელიფსურ განტოლებათა სასაზღვრო ამოცანების ამოხსნის ერთი ახალი ხერხი“ და ა. ვალფიში — „რიცხვთა ადიტიური თეორიის ზოგიერთი პრობლემის შესახებ“.

ქიმიურ მეცნიერებათა სექციამ განიხილა დ. ერისთავის მოხსენება — „მძიმე ლითონთა ფეროციანიდების შესახებ“ და ლ. რეხენბერგის მოხსენება — „ფიზიკური წარმოდგენა ქიმიური ტექნოლოგიის პროცესების მიმდინარეობაზე და ტექნოლოგიური მოდელირების ამოცანა“.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა სექციის სხდომაზე განხილულ იქნა პროფ. დ. სოსნოვსკის მოხსენება — „მესხეთის ფლორის ზოგიერთი თავისებურების შესახებ“ და პროფ. ვ. გულისაშვილის მოხსენება — „ეკოლოგიის საკითხები მწვანე მშენებლობის საქმეში“. ამ სექციაზე მოხსენება გააკეთა აგრეთვე უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა ე. მაკარევსკაიამ. იგი შეეხო ვაზის მყნობის ფიზიოლოგიის საკითხს.

ცალკეულ მოხსენებათა გარშემო გაცხოველებული კამათი გაიმართა. კამათში მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა, პროფესორებმა: ვ. გულისაშვილმა, ა. ბალაბუევმა, დ. სოსნოვსკიმ, დორფმანმა, ბ. კანდელაკმა, დოცენტებმა გ. ბრეგვაძემ, დ. ერისთავმა, ანდრონიკაშვილმა, ნ. ბერძენიშვილმა და მეცნიერ მუშაკებმა ი. თუმანჯანოვმა, ბ. სერდიუკოვმა (აზერბაიჯანი), მახათაძემ, რეკმა, დ. ანტონოვმა, ვ. ბელიკოვმა (მიწსახკომი) და სხვ.

სესიაზე წაკითხული ყველა შრომა გამოცემული იქნება ცალკე ბროშურებად.

დღეს მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობაში შესდგება სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის პირველი სესიის უკანასკნელი პლენარული სხდომა, რომელზედაც მოხსენებას გააკეთებს აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი — „ქართველების შარომატთა (სარმატთა) და მახლობელი აღმოსავლეთის კულტურული ერების უძველესი მსოფლმხედველობისა და რწმენის საერთო და მონათესავე ელემენტების შესახებ“.

საქ. კ. პ. (ბ) გეგეჭკორის რაიკომის პლენუმი

26 სექტემბერს საღამოს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. **მ. ჯაშის** მონაწილეობით ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) გეგეჭკორის რაიკომის პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა რაიკომის ბიუროს ანგარიში განვლილი მუშაობის შესახებ. რაიკომის ბიუროს ანგარიშის გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 11 ამხანაგმა. მოკამათეებმა ბოლშევიკური კრიტიკით აღნიშნეს რაიონის პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, რაიკომის სუსტი ხელმძღვანელობა პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი.

პარტიული ორგანიზაციის სუსტი ხელმძღვანელობის შედეგად რაიონი სამარცხვინოდ ჩამორჩება ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური დავალების შესრულების საქმეში.

პლენუმზე ვრცელი შინაარსიანი სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **მ. ჯაში.**

რაიკომის პლენუმმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი რაიონის პარტიულ ორგანიზაციის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

პლენუმმა სამუშაოდან გაანთავისუფლა საქ. კ. პ. (ბ) გეგეჭკორის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. კ. კალანდია და გამოიყვანა იგი რაიკომის ბიუროს წევრთა შემადგენლობიდან.

საქ. კ. პ. (ბ) გეგეჭკორის რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობის შემსრულებლად პლენუმმა ერთხმად აირჩია ამხ. **შ. დავითაია.**

ტ. ჩიქოვანი

საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის პლენუმი

(წულუკიძე, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

27 სექტემბერს ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის პლენუმი, რომელმაც მოისმინა რაიკომის მდივნის ამხ. შ. დავითაიას საანგარიშო მოხსენება რაიკომის ბიუროს მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

ამხ. შ. დავითაიას მოხსენების გარშემო სიტყვით გამოვიდა 14 ამხანაგი. მათ აღნიშნეს ის ნაკლოვანებანი, რომლებიც ახასიათებს რაიონის პარტიული ორგანიზაციების მუშაობას.

პლენუმზე ვრცელი შინაარსიანი სიტყვით პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **მ. ჯაში.**

მოხსენების გარშემო პლენუმმა დასახა სათანადო ღონისძიებანი.

რაიკომის მდივნის ამხ. შ. დავითაიას სხვა რაიონში სამუშაოდ გადაყვანის გამო პლენუმმა გაათავისუფლა იგი რაიკომის მდივნობიდან და ბიუროს წევრობიდან.

საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობის შემსრულებლად პლენუმმა ერთხმად აირჩია ამხ. დ. წანავა.

საომარი მოქმედება დასავლეთის ფრონტზე

ბრიუსელი, 29 სექტემბერი (საკდესი). ბელგიის დეპეშათა სააგენტო ლუქსემბურგიდან იუწყება, რომ 27 სექტემბერს, 16 საათზე, ძლიერი საარტილერიო სროლა დაიწყო [illegible] რაიონში — [illegible]. გუშინ 14 საათიდან ზარბაზნის გრიალი მოისმოდა ქალაქ ლუქსემბურგში.

საფრანგეთის კომუნიკე საომარი მოქმედების შესახებ

პარიზი, 29 სექტემბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს 28 სექტემბრის საღამოს კომუნიკეს, რომელშიაც ნათქვამია: „ჩვენი ჯარის ადგილობრივი იერიში მოზელის აღმოსავლეთით მდებარე რაიონში ხელსაყრელად გაიშალა. წამოყვანილია ტყვეები“.

პარიზი, 29 სექტემბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს დღეს დილით გამოქვეყნებულ კომუნიკეს საომარი მოქმედების შესახებ: „ღამემ მშვიდად ჩაიარა. საარბრიუკენის დასავლეთით მტერთან შეხვედრისას აღნიშნულ იქნა ჩვენი ნაწილების აქტივობა“.

მდგომარეობა გერმანია-ჰოლანდიის საზღვარზე

ბრიუსელი, 29 სექტემბერი (საკდესი). გაზეთ „ენდეპანდანს ბელჟის“ სპეციალური კორესპონდენტი ჰააგიდან იუწყება: „უშუალოდ ჰოლანდიის საზღვრის მახლობლად მდებარე გერმანიის ქალაქებში ჩატარებულია მზადება იმ მოსახლეობის მისაღებად, რომელთა ევაკუაციაც ხდება რეინის ოლქიდან. როგორც ჰფიქრობენ, ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ ჰოლანდიის სასაზღვრო ზონა მშვიდობიანი ოლქია და მშვიდობიანი დარჩება.

— გერმანიის საზღვარი, — სწერს კორესპონდენტი, — დაკავებულია ჯარით, რომელიც მჭიდროდაა განლაგებული მთელი თითქმის პირდაპირი სასაზღვრო ხაზის გასწვრივ. ჯარის განლაგების ასეთ წესს კი იყენებენ იმ შემთხვევაში, როდესაც თავდასხმა მზადდება. მაშასადამე, ეს იმას ნიშნავს, რომ გერმანელებს სურთ მხოლოდ უზრუნველჰყონ საზღვრის მოსალოდნელი დარღვევის მტკიცე კონტროლი“.

ნეიტრალიტეტის კანონი ლუქსემბურგში

ბრიუსელი, 29 სექტემბერი (საკდესი). ბელგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ ლუქსემბურგში გამოქვეყნდა ნეიტრალიტეტის კანონი, რომლითაც აკრძალულია მეომარი ქვეყნების წინააღმდეგ ან მათ სასარგებლოდ მიმართული ყოველგვარი მოღვაწეობა.

საჰაერო განგაში პარიზში

რომი, 29 სექტემბერი (საკდესი). სტეფანის სააგენტო იუწყება, რომ დღეს 11 საათსა და 20 წუთზე პარიზში გამოცხადდა საჰაერო განგაში, რომელიც 11 ს. და 55 წუთს გასტანა.

ახალი მთავრობა რუმინეთში

ბუქარესტი, 29 სექტემბერი (საკდესი). როგორც რუმინეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რუმინეთში შეიქმნა ახალი მთავრობა, რომელშიაც შედიან: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კონსტანტინე არჟეტოიანუ, შინაგან საქმეთა მინისტრი ნიკოლოზ ოტესკუ, საზოგადოებრივი უშიშროების მინისტრი — ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი — გაბრიელ მარინესკუ, „ეროვნული აღორძინების ფრონტის“ მინისტრი პროფესორი კონსტანტინე ჯიურესკუ, პროპაგანდის მინისტრი ალექსანდრე რადიანი.

დანარჩენ სამინისტროებს წინანდელი მინისტრები მეთაურობენ.

რუმინეთის ახალი პრემიერი კონსტანტინე არჟეტოიანუ დაიბადა 1871 წელს, 1918-21 წლებში იგი იყო ფინანსთა, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრი ავარესკუს კაბინეტებში, 1927-1928 წლებში — მიწათმოქმედების მინისტრი ბრატიანუს კაბინეტში, 1931-32 წლებში — ფინანსთა და შინაგან საქმეთა მინისტრი იორგის კაბინეტში, 1938 წელს — ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი კრისტეას კაბინეტში.

არჟეტოიანუ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე და სენატის თავმჯდომარეა.

1932 წელს არჟეტოიანუ მაშინ შექმნილ აგრარულ პარტიას მეთაურობდა.

სლოვაკიის არმიის დემობილიზაცია

პრაღა, 29 სექტემბერი (საკდესი). გაზეთი „სლოვაკი“ აქვეყნებს ოფიციალურ ცნობას სლოვაკიის არმიის ნაწილობრივი დემობილიზაციის შესახებ. ამა წლის აგვისტოში ხდება გერმანია-პოლონეთის ომთან დაკავშირებით არმიაში გაწვეულ ჯარისკაცთა დემობილიზაცია. მოქმედი არმია რჩება იმ ოდენობით, რაც საჭიროა სლოვაკიის სახელმწიფოს საზღვრების დასაცავად. პირველ რიგში ხდება გაწვევის უფროსი წლების დემობილიზაცია. სპეციალური მექანიზებული ნაწილების უფროსი გასაწვევი ასაკის ჯარისკაცები ჯერჯერობით დემობილიზებული არ იქნებიან.

○

ბერლინი, 29 სექტემბერი (საკდესი). სლოვაკიის შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოსცა განკარგულება, რომლის თანახმადაც 28 სექტემბრიდან სლოვაკიაში უქმდება ყველა ღონისძიება სამოქალაქო საჰაერო თავდაცვის ხაზით, მათ შორის ქალაქების დაბნელებაც.

საბარათო სისტემის შემოღება შვეიცარიაში

ბერლინი, 29 სექტემბერი (საკდესი). ჟენევიდან იუწყებიან, რომ 1-ლ ნოემბრიდან შვეიცარიაში შემოღებული იქნება საბარათო სისტემა კვების პროდუქტებზე. ნორმირებული იქნება პირველ რიგში შაქარი, ბრინჯი, საშაქარლამო ნაწარმი და სხვ.

საქონლის უკიდურესი ნაკლებობა იაპონიაში

ტოკიო, 28 სექტემბერი (საკდესი). შინაგანი მოხმარების საფეიქრო საქონლის წარმოების მკვეთრი შემცირება და ბაზარზე პირველი მოთხოვნილების საქონლის უქონლობა იაპონიაში დღითი-დღე სულ უფროდაუფრო საგრძნობი ხდება. განსაკუთრებით საგრძნობია მიმდინარე წელს. იაპონიის მთავრობამ აკრძალა მრავალი ისეთი საქონლის წარმოება, რომელიც მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ხმარდება. ბამბის ნაწარმი, სხვადასხვა ლითონები, ხის სპეციალური ჯიშები, ტყავი და სხვა ნედლეული სამხედრო მრეწველობის საჭიროებას ხმარდება. იაპონიის მთავრობა ცდილობს როგორმე შეავსოს საქონლის ნაკლებობა ბაზარზე და ამისათვის იყენებს მათ შემცვლელ მასალას—ფიცარნაგის ბოჭკოსა და სხვ.

როგორც გაზეთი „ხოჩი“ იუწყება, იაპონიის ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრომ გადასწყვიტა საფეიქრო საქონლის დასამზადებლად გამოიყენოს სხვადასხვა ნარჩენები: ჩვრები, ბამბის ნავარცხნი, ძველი აბრეშუმის ნაჭრები, ფიცარნაგის ბოჭკო და სხვ. ამისათვის ეწყობა სპეციალური კომპანია. ცნობილია, რომ ასეთი ნარჩენებისაგან დამზადებული ნაწარმი პირველი გარეცხვისთანავე ცვდება, კლებულობს და სატარებლად უვარგისი ხდება.

აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა შესრულდა

მახარაძის რაიონმა აბრეშუმის პარკის დამზადების მესამე გამოკვების გეგმა 188 პროცენტით შეასრულა; ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.000 კილოგრამისა დაამზადა 5065 კილოგრამი პარკი.

პარკის დამზადება გრძელდება.

რაიაბრეშუმი — **დონაძე**

რამის მეორე მოსავლის დამზადება-გადამუშავების გეგმა შესრულებულია

საქართველოს რამის ტრესტმა 25 სექტემბრისათვის რამის მეორე მოსავლის დამზადება-გადამუშავების გეგმა 101,1 პროცენტით შეასრულა. დამზადებულია 6.752 ტონა რამის ნედლი ღერო, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6.673 ტონისა. აქედან საბჭოთა მეურნეობებმა რამის დამზადების გეგმა 124,6 პროცენტით შეასრულეს.

რამის მზა პროდუქცია (ლაფანი) მიღებულია 118 ტონა—გეგმის 108,7 პროცენტი.

ამჟამად სწარმოებს სამზადისი რამის მესამე მოსავლის აღება-გადამუშავებისათვის.

„საქრამის“ ტრესტის მმართველი
ტ. თოდუა

ყურძნის კრეფის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს

ყვარელი („კომუნისტის“ კორ.) ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ ყურძნის კრეფის გეგმა 29 სექტემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა, მოჰკრიფა 4.081 ცენტნერი ყურძენი, ნაცვლად 3.600 ცენტნერისა—გეგმის 113,5 პროცენტი. მოკრეფილი ფართობიდან თვითეულ ჰექტარზე ყურძენი აღებულია 43 ცენტნერი.

ყურძნის კრეფა წარმატებით გრძელდება. დასაკრეფია 42 ჰექტარზე.

შ. მაჭავარიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფართოდ დავნერგოთ ქალთა შრომა მრეწველობაში

მუშათა და მოსამსახურეთა ყველა ცოლებს, დებს და ქალიშვილებს, ყველა კოლმეურნე ქალებს, საბჭოთა საქართველოს ყველა ქალებს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ **მოლოტოვის** მოწოდებამ — თავგანწირული სტახანოვური შრომით დავეხმაროთ სახელოვან წითელ არმიას—უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია ჩვენი მძლავრი და მშვენიერი სამშობლოს ყველა კუთხეში.

საბჭოთა ქალებში, ისევე როგორც მამაკაცებში ამჟამად დიდია მისწრაფება უპასუხონ ამხანაგ **მოლოტოვის** მოწოდებას ახალი საგმირო საქმეებით, ახალი სახელოვანი სტახანოვური გამარჯვებებით.

ქალები მიდიან სამუშაოდ წარმოებაში, საამქროებში, რათა მართონ დაზგები, მანქანები, ლოკომოტივები.

საბჭოთა ქალების მისწრაფება წარმოებისაკენ ასახავს სოციალიზმის ქვეყნის უდიდეს ისტორიულ წარმატებებს, რომლებიც მიღწეულია ბოლშევიკური პარტიის, დიდი **სტალინის** ბრძნული ხელმძღვანელობით.

მთელი მსოფლიო იცნობს საბჭოთა კავშირის სახელგანთქმულ მფრინავ ქალებს, რომლებმაც ბრწყინვალედ დაამტკიცეს, რომ საბჭოთა პატრიოტი ქალისათვის არ არსებობს ისეთი სპეციალობა, რის დაუფლებაც მას არ შეეძლოს.

ჩვენს ქარხანაში, რომელიც დიდი სტალინის სახელს ატარებს, პატიოსნად და თავგანწირულად შრომობს 425 საბჭოთა პატრიოტი ქალი. მათ შორის—34 ინჟინერი და ტექნიკოსი, 93 მაღალკვალიფიციური მუშა-ქალი.

სამსხმელო საამქროში წარმოების პასუხსაგებ უბანზე სახელოვნად მუშაობს ოლგა როდიონოვა. შესანიშნავი სტახანოვური წარმატებებისათვის ამხ. ო. როდიონოვა დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით. დამსახურებულად ატარებენ ნიშნებს „სტალინური გაწვევის დამკვრელს“ ვერა ქიტუაშვილი და მღარავი ნინა ლუცენკო. ისინი სისტემატურად ასრულებენ ორ-სამ ნორმას, მუშაობენ უწუნოდ.

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ჩვენს ქარხანაში იშვიათად შეხვდებოდით ქალს დაზგასთან. ახლა დაზგასთან მომუშავე ქალებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ქარხნის კოლექტივში.

სამჭედლო საამქროს წარჩინებული სტახანოველი ქალი ოლია შევარდნიძე მართავს ისეთ დიდ და რთულ მექანიზმს, როგორიცაა ორთქლის ურო. სამ დაზგაზე მუშაობს კომკავშირელი ირა შკოდა. დიდი საწარმოო ავტორიტეტით სარგებლობს საინსტრუმენტო საამქროში ნინო ვაშაკიძე, რომელსაც ჩვეულებრივად ისეთ სამუშაოს ავალებენ, რაც განსაკუთრებით მაღალ ოსტატობას მოითხოვს.

ჩვენ ვამაყობთ ინჟინერ ნინო ჩოგოვაძით, რომელიც ხელმძღვანელობს მოწყობილობის ჯგუფს ქარხნის ტექნიკურ განყოფილებაში. ის, როგორც ნამდვილი საბჭოთა სპეციალისტი, მეთაურობს სტახანოვურ მოძრაობას, ეხმარება სტახანოველებს მოიპოვონ ახალი გამარჯვებანი, თვითონ სწავლობს სტახანოველებისაგან.

ქალი მუშაობს ქარხნის ყველა უბანზე.

საქვაბე საამქროში სახარატო ჩარხთან სახელი გაითქვა თავისი მუშაობით სტახანოველმა ნინო ნატროშვილმა, სამშენებლო საამქროში ჩინებულად მუშაობს ბუხჰალტრის თანაშემწე ელენა კრავცოვა, საინსტრუმენტო საამქროში—ქარხნის საუკეთესო მეკუჩნავე თამარ გურგენიძე, სამგზავრო-სავაგონო საამქროში მოწინავე სტახანოველია მეშპალერე მარია კრავეცი, რომელიც დაჯილდოებულია ნიშნით „სტალინური გაწვევის დამკვრელს“.

ქალები წარმატებით ასრულებენ ყოველ საქმეს, თავს ართმევენ ყოველ დავალებას.

ჩვენი მზარდი სოციალისტური მრეწველობა სულ უფრო-და-უფრო მეტ კადრებს მოითხოვს. ახალი საწარმოო კადრების მომზადებისათვის დაუშრეტელ რეზერვს წარმოადგენენ საბჭოთა ქალები.

ამხანაგო დიასახლისებო, მუშათა და მოსამსახურეთა ცოლებო, დებო და ქალიშვილებო! ამხანაგო კოლმეურნე ქალებო! ჩვენ მოგმართავთ თქვენ მოწოდებით: წადით სამუშაოდ ჩვენს ფაბრიკებსა და ქარხნებში. **სტალინის** სახელობის ორთქლმავალ - ვაგონ - სარემონტო ქარხნის მუშათა და მოსამსახურეთა ცოლებს ჩვენ განსაკუთრებით მოვუწოდებთ მოვიდნენ ჩვენს ქარხანაში — ჩვენთან ხელიხელჩაკიდებულებმა შეაკეთონ ორთქლმავლები და ვაგონები.

ჩვენს ქარხანაში ცოტანი როდი არიან ყოფილი დიასახლისები, რომლებიც ამჟამად სოციალისტური შრომის ნიმუშებს გვიჩვენებენ. ეს ოდნავაც არ უშლის მათ ხელს შეასრულონ აგრეთვე თავიანთი საოჯახო საქმეები, აღზარდონ შვილები. მაგალითების ძებნა არ დაგვჭირდება. ჩვენს ამწყობ საამქროში სტახანოვურად მუშაობს მელუშელე სოფია ლუკაშევიჩი. ის შესანიშნავი ოსტატია ორთქლმავლის კამარების გამოშენების დარგში. და ამასთან ერთად სოფია ლუკაშევიჩი საუცხოო დედაა, ის ოთხ შვილს ზრდის.

პარტია და მთავრობა დიდი მზრუნველობითა და ყურადღებით მოსავენ მუშა-ქალებს. ამ მზრუნველობას ჩვენ ყოველდღიურად ვგრძნობთ. ჩვენს ქარხანაში გახსნილია საბავშვო ბაგა, რამდენიმე საბავშვო მოედანი. თითქმის ყოველ საამქროში არის თავისი სასადილო. ჩვენს ჯანმრთელობას თვალყურს ადევნებენ ქარხნის ექიმები. ქარხნის 100-ზე მეტმა მუშა ქალმა წელს დაჰყო სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, კურორტებზე.

ჩვენ, მუშა ქალები, ხოლო ჩვენთან ერთად ყველა ჩვენი ინჟინერი და ტექნიკოსი, ჩვენი ქარხნის ყველა მუშა დაგეხმარებით თქვენ სწრაფად მიიღოთ საწარმოო კვალიფიკაცია, გახდეთ სტახანოველები. ამისათვის ჩვენ გვაქვს სოციალისტური შრომის ოსტატთა კურსები, ტექმინიმუმის წრეები, სტახანოვური სკოლები. თვითეული ჩვენგანი, კადრის მუშა ქალთაგანი, მზად არის აიღოს შეფობა ახალ მუშა ქალზე, დაეხმაროს მას ტექნიკის სწრაფად დაუფლებაში.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ გამოეხმაურებით ჩვენს მოწოდებას, და მოხვალთ სამუშაოდ ჩვენს საამქროებში, წახვალთ საბჭოთა საქართველოს სხვა სამრეწველო საწარმოებში —ფაბრიკებსა და ქარხნებში, მაღაროებსა და სამადნეებში, საკოლმეურნეო წარმოებაში.

ახლოვდება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები. ეს უდიდესი პოლიტიკური მოვლენაა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. მუშა ქალებმა, მუშათა და მოსამსახურეთა ცოლებმა, დებმა და ქალიშვილებმა, ყველა საბჭოთა ქალებმა უაღრესად აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ საარჩევნო კამპანიაში.

აღვნიშნოთ არჩევნები ბოლშევიკური საქმეებით, ამხანაგ მოლოტოვის მოწოდებას ვუპასუხოთ შრომის ნაყოფიერების ახალი აღმავლობით, სოციალიზმის ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებით, საბჭოთა პატრიოტი ქალების მასობრივად მოსვლით ჩვენი აყვავებული საქართველოს რესპუბლიკის. ჩვენი ძლიერი და უძლეველი სამშობლოს ფაბრიკებსა და ქარხნებში, მაღაროებსა და სამადნეებში, ყველა საწარმოში და საკოლმეურნეო მინდვრებზე.

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის მუშა ქალების საერთო კრების დავალებით წერილს ხელს აწერენ:

ო. როდიონოვა, ნ. ნატროშვილი, ნ. აბიაშვილი, ე. გურგენიძე, ე. ნარიმანიძე, ს. კიკვილაშვილი, მ. აგეევა, მ. ამნათიშვილი, ა. პილიპენკო, მ. კურცხალია, დ. სოკოლოვა, ე. ბეჟანიანი, ნ. ივანიშვილი, ვ. სულხანიშვილი, ვ. ხიხარულიძე, ე. ჩხენკელი, ბ. ედიგაროვა, მ. ბარადაევა, აგ. გაგრონსკაია, ვ. ჭელიძე, ნ. ფხაკაძე, ნ. ხატისკაცი, ე. მინასაშვილი, მ. ნატრაშვილი, მ. კრავეცი, ნ. ნატრაძე, ე. კრავცოვა, მ. პულიკოვსკაია, ზ. შუტკოვა, ე. ხუბულური, ნ. მალიკოვა და სხვები.

28 სექტემბერს ჩატარდა თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონ-სარემონტო ქარხნის მუშა ქალთა შეკრება, სადაც მგზნებარე პატრიოტული სიტყვებით გამოვიდნენ ქარხანაში მომუშავე ქალები ამხ. ზ. შუტკოვა, ე. ხუბულური, მ. პულიკოვსკაია, ო. როდიონოვა, ი. მალიკოვა, ე. კრავცოვა, ნ. ნატროშვილი, თ. გურგენიძე, მ. ნატრაშვილი, მ. კრავეცი და ე. მინასაშვილი.

შეკრებამ ერთსულოვნად მიიღო მიმართვა მუშა-მოსამსახურეთა ცოლებისა და დებისადმი, ყველა კოლმეურნე ქალისადმი, რათა მათ იმუშაონ სოციალისტურ საწარმოებსა და ტრანსპორტზე.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში ქვეყნდება აღნიშნული მიმართვა. შეკრებაზე გამოსულ ქალთა რამდენიმე სიტყვა და ცნობები რაიონიდან.

დავეუფლე დაზგაზე მუშაობას

პირველად ქარხანაში რომ მოვედი, დაზგაზე წარმოდგენაც კი არ მქონდა. მაგრამ მალე დავეუფლე ჩემ საქმეს და გამომუშავების პროცენტიც მაღლა იწევდა.

ისე კარგად შევისწავლე დაზგის მუშაობა, რომ ახლა უკვე სხვებსაც ვასწავლი. ახალგაზრდა მუშებს ვუზიარებ ჩემს საწარმოო გამოცდილებას. ჩემს მოწაფედ ითვლება ჩვენი საამქროს ერთერთი მოწინავე ქალიშვილი ამხ. სევასტიანოვა. იგი ახლა საუკეთესო სტახანოველია და თავისი ენერგიული, თავგანწირული მუშაობით დამსახურებული პატივისცემით სარგებლობს ჩვენი საამქროს მუშებს შორის.

ჩვენი მძლავრი საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხ. ვ. მოლოტოვის მოწოდებას ჩვენი ქარხნის კოლექტივი სტახანოვური შრომით უპასუხებს, რითაც დაეხმარება ჩვენ სახელოვან წითელ არმიას, რომელმაც თავისუფლება, სიხარული და ბედნიერება მიუტანა დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ღვიძლ ძმებს.

ქალი დაზგასთან დიდი ძალაა. ამხანაგო, დიასახლისო ქალებო, მოდით ჩვენთან ქარხანაში, ხელიხელჩაკიდებული ვიმუშაოთ ჩვენი საყვარელი სამშობლოს კიდევ უფრო განმტკიცებისა და გაძლიერებისათვის!

ნ. ნატროშვილი

საქვაბე საამქროს სტახანოველი ხარატი ქალი.

ჩვენ შევცვლით მამაკაცებს

ახლა უკვე წარსულს ჩაჰბარდა ცრუ, მავნე „თეორია“, თითქოს ქალს არ შეუძლია იმუშაოს მანქანაზე, დაზგაზე, ელვის სისწრაფით წაიყვანოს ორთქლმავალი, მაღლა, შორს და სწრაფად იფრინოს თვითმფრინავით.

ეს ფაქტი ყოველდღიურად დასტურდება. ამას ადასტურებს ის, რომ ჩვენ გვყავს გმირი ქალები, რომელთა ძირდაუშვებელმა გადაფრენებმა მთელი მსოფლიო განაცვიფრეს.

ამხანაგ ვ. მოლოტოვის მოწოდებას სტახანოვური შრომით ვუპასუხებ. თავგანწირულად ვმუშაობ ჩემს პოსტზე, რადგან კარგად მაქვს შეგნებული, რომ ჩვენში ყველა უბანი საბრძოლო პოსტია.

ჩვენ, ქალები, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ყველა საპასუხისმგებლო უბანზე შევცვლით მამაკაცებს—ჩვენს ქმრებსა და ძმებს.

ქალები — წარმოებაში! — ასეთია ჩვენი მოწოდება ყველა ქალისადმი.

მ. კრავეცი

საშპალერო საამქროს სტახანოველი ქალი.

დიასახლისობიდან — დაზგამდე

არც ისე დიდი ხნის წინათ მე დიასახლისი ვიყავი, საოჯახო საქმიანობას ვეწეოდი. მარტო ეს საქმე არ მაკმაყოფილებდა. გადავწყვიტე ქარხანაში დამეწყო მუშაობა. პირველად, ცხადია, დაზგაზე მუშაობა არ ვიცოდი. ძველ, გამოცდილ მუშებზე მიმამაგრეს, ისინი გულმოდგინედ მასწავლიდნენ, მეც მონდომებით და ბეჯითად ვსწავლობდი. ნაცვლად ერთი თვისა, ორ კვირაში შევისწავლე მუშაობა, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ სტახანოველი გავხდი.

სტახანოვური მუშაობით გაიზარდა ჩემი ხელფასი, გაუმჯობესდა ჩემი მატერიალურ - საყოფაცხოვრებო პირობები. ახლა ოჯახიც უკეთ მოვაწყე, ცხოვრებაც უფრო ხალისიანად მიდის.

ზოგი ფიქრობს, წარმოებაში თუ წავედი, ოჯახი მოიშლებაო. ეს ძირშივე შემცდარი აზრია. მონდომება და დაინტერესება იყოს, თორემ ქალი წარმოებაშიც სტახანოვურად იმუშავებს და ოჯახსაც კარგად გაუძღვება — აღზრდის ჩვენი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტ ქალ-ვაჟთ. ეს მე ჩვენს ქარხანაში მომუშავე ქალების მაგალითით ვიცი.

მე მყავს დიასახლისი მეზობლები. ისინი ჯერ არ მუშაობენ წარმოებაში. მე მოვუწოდებ ყველა დიასახლის ქალს წავიდნენ წარმოებაში სამუშაოდ, გვიჩვენონ სტახანოვური მუშაობის ნიმუშები.

ე. ხუბულური

სამჭედლო საამქროს სტახანოველი ქალი.

გელოდებით, ამხანაგო ქალებო!

მე ჩვენმა ქარხანამ აღმზარდა, დაზგას ბავშვობიდანვე შევეზარდე. უნდა ვითხრათ, პირველ ხანებში დაზგაზე მუშაობა მიძნელდებოდა, მაგრამ მალე ისე დავეუფლე დაზგის მუშაობის საიდუმლოებას, რომ ძველი მუშები გაკვირვებას გამოსთქვამდნენ.

და როდესაც მთელს ჩვენს თვალუწვდენელ ქვეყანაში ალექსი სტახანოვის სანგრევი უროს მძლავრი ხმა გაისმა, როდესაც დასაბამი მიეცა სტახანოვურ მოძრაობას, მეც არ დავრჩი ამ ამბისადმი გულგრილი—მეც სტახანოველი გავხდი.

ამავე დროს მოანგარიშეობა შევისწავლე. შემეძლო მოანგარიშედ დამეწყო მუშაობა, მაგრამ გული მაინც ქარხნისკენ მომიწევდა, ჩემი დაზგა მიზიდავდა. კვლავ დაზგის მართვა, სტახანოველი ქალის საპატიო სახელის ტარება ვარჩიე. ახლა სანიმუშო მომსახურებას ვუწევ საიარაღო საამქროს სტახანოველებს.

ვიძლევი სიტყვას მოცემული დავალება მუდამ მაღალი მაჩვენებლებით შევასრულო.

ქალებმა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ვუჩვენეთ მუშაობის შესანიშნავი ნიმუშები. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ შეგვიძლია მამაკაცის თანაბრად დავიკავოთ ყველა საპასუხისმგებლო უბანი. დაზგები, მანქანები, ორთქლმავლები და თვითმფრინავიც კი ისევე ემორჩილება ქალს, როგორც მამაკაცს.

ქარხანაში სტახანოვურად ვმუშაობ, მაგრამ თუ მომენტი დადგება, თუ ამას სამშობლოს ინტერესები მოითხოვს, სიხარულით წავალ ჩვენს მშობლიურ, ძლევამოსილ წითელ არმიაში.

მოვუწოდებ ჩვენი ქვეყნის ყველა პატრიოტ ქალს მოვიდნენ ჩვენთან, იმუშაონ წარმოებაში.

გელოდებით, ამხანაგო ქალებო!

თ. გურგენიძე

საიარაღო საამქროს სტახანოველი

ფართოდ გამოვიყენოთ ქალთა შრომა მარგანეცის მრეწველობაში

(ჭიათურა, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში დღემდე გავრცელებული იყო ის აზრი, რომ ქალის შრომა მაღაროში შრომის ნაყოფიერებას დასცემდა.

მაგრამ ეს შეხედულება ახლა დაირღვა. მარგანეცის გამრეცხავ ქარხნებში მრავალი სტახანოველი ქალი მუშაობს. ლენინის სახელობის ქარხნის მუშები შუშანა ცუცქირიძე და შურა ბერიძე შესანიშნავად დაეუფლნენ დაზგას, ყოველდღიურ გეგმას 150-200 პროცენტით ასრულებენ.

ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში პეროქსიდის გამამდიდრებელ დაზგებზე მუშაობენ ანიკო სამხარაძე, სალომე ფეიქრიშვილი და ანიკო ჰილლაძე. ისინი შესანიშნავად დაეუფლნენ თავის საქმეს და სტახანოველთა საპატიო სახელს ატარებენ.

კაგანოვიჩის სახელობის მაღაროში ჯალამბრის მემანქანე ანიკო გაფრინდაშვილი სტახანოვურ მაჩვენებლებს იძლევა.

მაღაროების პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციებს დღემდე არ უფიქრნიათ იმაზე, რომ ქალთა შრომა გამოეყენებინათ მიწისქვეშა სამუშაოებზე.

9 სექტემბერს ბერიას სახელობის მაღაროს პარტბიუროს მდივანი ამხ. კვიჟინაძე ესაუბრა მაღაროს მუშებს ამხ. ალექსი სტახანოვის მითითებათა შესრულებაზე. თათბირზე ახალგაზრდა ქალმა მარო კერესელიძემ სურვილი გამოსთქვა, რომ ის მაღაროში ამწმენდის თანამდებობაზე იმუშავებდა. მაღაროს ადმინისტრაციამ მისი სურვილი დააკმაყოფილა. ის ამჟამად პირველი ამწმენდი ქალი სტახანოველია ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში. მან პირველ დღესვე მიაღწია მაღალ მაჩვენებელს — 12 ტონის მაგიერ 18 ტონა მარგანეცი ასწმინდა,—გეგმა 180 პროცენტით შეასრულა. ეს მაჩვენებელი მან მთელ დეკადაში შეინარჩუნა. 20 სექტემბერს 12 ტონის ნაცვლად 23,5 ტონა ასწმინდა, გეგმა შეასრულა 195,9 პროცენტით. ასევე მაღალი მაჩვენებლები მოგვცა მან 21, 22 და 23 სექტემბერს.

მარო კერესელიძის წარმატებებმა აღაფრთოვანა ამ მაღაროში მყოფი ქალები; 16 სექტემბერს ლეონინა სამხარაძემ ამწმენდად დაიწყო მუშაობა მაღაროში. მან პირველ დღეს 9 ტონის ნაცვლად 10 ტონა მარგანეცი ასწმინდა. ლეონინა სამხარაძე არც შემდეგ დღეებში ჩამორჩენილა — 25 სექტემბერს გეგმა 116 პროცენტით შეასრულა.

სტალინის სახელობის მაღაროში 25 სექტემბერს მაღაროს მეექვსე კომპლექსურ უბანში ამწმენდად დაიწყო მუშაობა მარუსია სერედიჩენკომ. მან გეგმით მიცემული 21 ტონა მარგანეცის მაგიერ ასწმინდა 29,8 ტონა—გეგმა შეასრულა 139 პროცენტით. 26 სექტემბერს ასწმინდა 25,9 ტონა—გეგმა შეასრულა 119 პროცენტით.

სტახანოველ ქალთა ინიციატივას ფართო გასაქანი უნდა მიეცეს.

ლ. ლოლაძე

მაღაროელთა ცოლები სამუშაოდ მიდიან შახტებში

ტყიბული, (საქდესი): სტალინის სახელობის შახტში მომუშავე ქალები მხურვალედ გამოეხმაურნენ ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მოწოდებას—პატიოსანი და თავგანწირული მუშაობით დავეხმაროთ წითელ არმიას. მაღაროელი ქალები თავიანთ ქმრებთან და ძმებთან ხელიხელჩაკიდებულნი თავდადებით მუშაობენ შახტში, ასრულებენ საპასუხისმგებლო დავალებას ჩვენი ქვეყნის სათბობი მასალით უზრუნველყოფის საქმეში.

დღემდე შახტში სამუშაოდ მოვიდა 18 ქალი — მაღაროელთა ცოლები და დები. ხვალ სამუშაოდ გამოდის კიდევ 3 ქალი. შრომის საუკეთესო ნიმუშებს გვიჩვენებენ მაღაროელი ქალები: თამარ ლანჩავა, შურა არსენიძე, თამარ ობოლაძე, კლავდია ბაკურაძე, ოლღა ძოწენიძე და სხვ.

დამახასიათებელია შემდეგი მაგალითი. 24 სექტემბერს რკინიგზის ვაგონების დაგვიანებით მიწოდების გამო საწყობები გადატვირთული იყო ქვანახშირით, რაც ემუქრებოდა შახტის ნორმალურ მუშაობას. დიასახლისებმა — მაღაროელთა ცოლებმა გადასწყვიტეს დახმარება გაუწიონ მუშებს საწყობების განტვირთვაში. სამუშაო შესრულებულ იქნა უმოკლეს ვადაში.

შახტში ქალების მოსვლასთან დაკავშირებით, ბევრი დამხმარე მუშა უკვე გადაყვანილია სანგრევში, სადაც ისინი შრომის სტახანოვურ ნიმუშებს იძლევიან. შახტის მესამე უბანმა, რომელიც წინათ ჩამორჩენილი იყო, ახალი შევსება მიიღო და სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს დღიურ დავალებას.

ტრაქტორისტი ქალები

(წულუკიძე. „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

წულუკიძის რაიონის ავტოსატრაქტორო სკოლის კოლექტივი (დირექტორი — ე. აბზიანიძე) წარმატებით ასრულებს აღებულ ვალდებულებას წარმოებისაგან მოუწყვეტლივ 100 კოლმეურნე ტრაქტორისტი ქალის მომზადების შესახებ.

ავტოსატრაქტორო სკოლის [illegible] დღიდან [illegible] ამზადა [illegible] ტი ქალი [illegible] ზე და [illegible]

ზე დამთავრებულთა შორის არიან ჩაის კრეფის გამოჩენილი სტახანოველები იუსტინა ჯალაღანია, პელაგია ბაბულაშვილი, პაშა კაკაურიძე და სხვ.

ავტოსატრაქტორო სკოლა ამჟამად სოფელ ქვიტირის, გუბის და [illegible] 70 კოლმეურნე [illegible] პირველ ნახევარში მოხდება.

1939 წ. 1 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, თბილისის საბჭოს სხდომათა დარბაზში მოწვეულია **საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას სახ. რაიკომის მორიგი პლენუმი.**

დღის წესრიგი:

„მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ (მომხს. — რაიკომის მდივანი ამხ. ნ. ჩარკვიანი).

საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. ბერიას სახ. რაიკომი.

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ - სარემონტო ქარხნის მუშა-ქალები, რომლებმაც ვალდებულება აიღეს ჩააბან ქალები ტრანსპორტზე მუშაობაში (მარცხნიდან მარჯვნივ): პირველ რიგში—ნ. ნატროშვილი, მ. პულიკოვსკაია, მ. კრავეცი, ნ. მალიკოვა, ო. როდიონოვა (ორდენოსანი); მეორე რიგში—ე. კრავცოვა, ზ. შუტკოვა, ე. მინასაშვილი, თ. გურგენიძე, მ. ნატრაშვილი, ე. ხუბულური.

ფოტო ჩერკასოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა)

ვ. ჯიბლაძე

საქ. ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ორდენოსან საქართველოს — ღირსეული სასოფლო ვაჭრობა

საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაციამ, გარდაქმნა რა თავისი მუშაობა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1939 წ. 25 იანვრის ისტორიული გადაწყვეტილების საფუძველზე, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ყოველდღიური დახმარებით მიაღწია თავისი მუშაობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და საკოლმეურნეო სოფლის უკეთესად მომსახურებას.

წარმოადგენს რა ერთადერთ საქონელგამტარ სისტემას სოფლად, ცეკავშირის სისტემა იმგვარად წარმართავს თავის მუშაობას, რომ დამატებითი რესურსების გამონახვის გზით რაც შეიძლება მეტი საქონელი მიჰყიდოს საკოლმეურნეო სოფელს.

საქონელბრუნვის გეგმა (ცეკავშირის სისტემამ 1939 წ. პირველ კვარტალში შესრულა 114,7 პროცენტით, მეორე კვარტალში—121,76 პროცენტით; ამ ორ კვარტალში ცეკავშირის სისტემამ გეგმის გადამეტებით მიჰყიდა მომხმარებლებს 60 მილიონი მანეთის სხვადასხვა საქონელი.

სხვა საგეგმო დავალებანი, როგორიცაა საბითუმო ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, პურის ცხობის, დამზადებათა და სხვა გეგმები, ნახევარ წელიწადში შესრულებულ იქნა დიდი გადამეტებით. ნახევარ წელიწადში ცეკავშირის სისტემამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია რენტაბელური მუშაობის საქმეში; ნახევარი წლის განმავლობაში სისტემამ მოგვცა სოციალისტური დაგროვება 11½ მილიონი მანეთის რაოდენობით.

ნამდვილი საბჭოთა კულტურული ვაჭრობის ორგანიზაციის უზრუნველსაყოფად და მომხმარებელთან ძირითადი საქონლის მისაახლოვებლად ცეკავშირმა წელს დამატებით გახსნა 422 სავაჭრო წერტი, აქედან 175 სასოფლო უნივერსალური მაღაზია, რომლებიც რთული ასორტიმენტის საქონლით ვაჭრობენ.

გახსნილ სავაჭრო წერტებს შორის ახლად მოწყობილია 187 შერეული მაღაზია, რომლებშიაც ჩვენს კოლმეურნე მოსახლეობას შეუძლია ყოველდროს შეიძინოს საჭირო საკვები პროდუქტები და საოჯახო ნივთები.

დამატებით გაიხსნა ხე-ტყის 9 საწყობი და 7 საავეჯო სახელოსნო, რომლებიც ამზადებენ სასოფლო ასორტიმენტის იაფფასიან ავეჯს. ხე-ტყის საწყობები ჯერჯერობით მეტად ცუდად მუშაობენ — ჯერ კიდევ მოწყობილი არ არის ადგილობრივი წარმოების სამშენებლო მასალებით ვაჭრობა, თუმცა ამ სახის მასალებით ვაჭრობის ორგანიზაციისათვის ყველა პირობა მოიპოვება. საჭიროა ხე-ტყის ამ საწყობებმა და რაისამომხმარებლო კავშირების ხელმძღვანელობამ მჭიდრო კავშირი დაამყარონ კოლმეურნეობებთან, რათა მათ მოაწყონ სამშენებლო მასალების (აგური, კრამიტი, კირი, გაჯი და სხვ.) წარმოება. სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემას შეუძლია უზრუნველჰყოს კოლმეურნეობანი სათანადო სახსრებით ამ საწარმოების მოსაწყობად.

დიდი მუშაობა ჩატარდა აგრეთვე საკოლმეურნეო სოფლის უზრუნველსაყოფად საზოგადოებრივი კვების ქსელით. 1 ივლისის ცნობებით საქართველოში კოოპერაციის ხაზით მოქმედებს საზოგადოებრივი კვების 430 საწარმო — კვების პროდუქტების უხვი ასორტიმენტით. გარდა ამისა, გახსნილია ერთი ბაკი სასადილო და მისაღები ოთახით კოჯორ-მანგლისის გზატკეცილზე. ამ დღეებში ამავე გზაზე იხსნება მეორე ბაკი სოფელ პრიუტში, ხოლო კოდაში შენდება ახალი ბაკი, რომელიც საექსპლოატაციოდ გადაეცემა მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში.

ბაკები კოოპერაციის სისტემაში ახალი წამოწყებაა და ისინი ეწყობა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1939 წ. 25 იანვრის გადაწყვეტილების შესაბამისად.

აღნიშნული გადაწყვეტილება მთლიანად გამსჭვალულია მომხმარებელზე ზრუნვით.

აღნიშნულ ბაკებში კოლმეურნეს ქალაქში წამოსვლისას შეუძლია ღამე—გაათიოს სუფთად და მოხერხებულად, მიიღოს კვება, გაზეთები, ლიტერატურა, რჩევა-დარიგება სხვადასხვა საკითხებზე, მოათავსოს მუშა-პირუტყვი და შესანახად ჩააბაროს პროდუქტები და ნივთები, რომლებიც თან მოაქვს. სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მნიშვნელოვან წამოწყებას.

1939 წ. პირველ კვარტალში ჩატარებულმა საანგარიშო - საარჩევნო კამპანიამ ცეკავშირის სისტემას მისცა ათასობით ახალი მუშაკები, ლენინ-სტალინის საქმის ერთგულნი, რომლებსაც დამსახურებული აქვთ ნდობა კოოპერაციის მეპაიეებში.

ახლად არჩეულთა შორის 50 კაცია ჩვენი ქვეყნის წარჩინებული ადამიანები, ორდენოსნები და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები. სულ სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებების და რაისამომხმარებლო კავშირების გამგეობებსა და სარევიზიო კომისიებში ახლად არჩეულია 2.800 კაცი. ეს არის მთელი არმია ადამიანებისა, რომლებმაც ერთგულად მოჰკიდეს ხელი მათთვის დავალებულ საქმეს. ამ ახალ მუშაკებს ესაჭიროებათ პრაქტიკული დახმარება სავაჭრო საქმის ტექნიკის დაუფლებაში. სისტემის ხელმძღვანელების წინაშე დგას დიდი ამოცანა — შენარჩუნონ ეს მუშაკები სისტემაში, აღზარდონ ისინი და ასწავლონ სავაჭრო საქმის სწრაფად დაუფლება.

იმ მიზნით, რომ სასოფლო კოოპერატივების მუშაობა დაუახლოვდეს მეპაიეთა და მომხმარებელთა მასას, მიმდინარე წელს გაწვრილერთეულებულ იქნა ყველა დიდი, მოუქნელი სასოფლო კოოპერატივები. აგრეთვე რეორგანიზებულ იქნა 8 რაიკოოპერატივი რაისამომხმარებლო კავშირებად და მათში მოეწყო 29 ახალი სასოფლო კოოპერატივი.

იმის მეოხებით, რომ სისტემის ხელმძღვანელობა მიუახლოვდა მეპაიეთა მასებს და მათ შორის კონტაქტი დამყარდა, მომხმარებელთა შორის ამაღლდა სასოფლო კოოპერატივების ავტორიტეტი, რის შედეგადაც ყოველდღიურად იზრდება კოოპერატივების წევრთა რიცხვი.

მიმდინარე წლის მხოლოდ 6 თვის განმავლობაში კოოპერატივების წევრებად მიღებულია 18 ათასი კაცი და შეკრებილია მილიონნახევარი მანეთი საპაიო შენატანები. სულ სამომხმარებლო სისტემაში ერთ მილიონამდე მეპაიე ითვლება. სწორედ ეს არმია წარმოადგენს სასოფლო კოოპერატივების ნამდვილ ბატონ-პატრონებს. საჭიროა, რომ სისტემის მუშაკები, სასოფლო კოოპერატივების ხელმძღვანელნი თავიანთ მუშაობაში ეყრდნობოდნენ მეპაიეთა მასას, მათ შორის ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის სწორად მოწყობის გზით. მხოლოდ ყოველდღიური კავშირი მეპაიეებთან და საკოლმეურნეო აქტივთან უზრუნველჰყოფს სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოების თვითეული ხელმძღვანელისათვის წარმატებას მუშაობაში.

მთელი თავისი მუშაობა კოოპერაციის მუშაკებმა უნდა წარმართონ განსაკუთრებული პატიოსნებითა და ერთგულებით; ისინი უნდა სწავლობდნენ, ამაღლებდნენ თავიანთ პოლიტიკურ-იდეურ დონეს, ასწავლიდნენ სხვებს, პატიოსნად, ზუსტად და კეთილსინდისიერად ასრულებდნენ პარტიისა და მთავრობის ყველა მითითებას.

საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხ. **მოლოტოვის** მოწოდებას: პატიოსნად და თავგანწირულად იშრომონ თავის პოსტზე და ამით დახმარება გაუწიონ წითელ არმიას — სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებმა უნდა უპასუხონ ახალი გამარჯვებებით ვაჭრობის გაუმჯობესების და სოციალისტური სოფლის მშრომელთა მოთხოვნილებების უზრუნველყოფის საქმეში.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობაში არსებული ერთგვარი წარმატებანი მიღწეულია სოციალისტური შეჯიბრების გაშლით და ვაჭრობაში შრომის სოციალისტური ფორმების გამოყენებით. ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანთა ინიციატივა — განვაგრძოთ წინასაყრილობო სოცშეჯიბრება — ხელში აიღეს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებმა, რის შედეგადაც სისტემაში გამოვლინებულ იქნენ და დაწინაურდნენ ასობით ნამდვილი სტახანოველები, რომლებიც ბოლშევიკური მუშაობის ნიმუშებს გვიჩვენებენ. მათ შორის არიან ანასტასიევკის სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოების თავმჯდომარე ამხ. კვარაცხელია, ქუთაისის სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოების თავმჯდომარე ამხ. ბრეგვაძე, გურიანთის სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოების თავმჯდომარე ამხ. მალაზონია და სხვები. კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა, რომლებსაც ეს ამხანაგები ხელმძღვანელობენ, სტახანოვური მუშაობის ნიმუშები გვიჩვენეს. ამ ორგანიზაციებში ჩამორჩენილი უბნები არ არის, ყველა საწარმო გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს. მათი წარმატებების საფუძველია კადრების გულდასმით შერჩევა. მეპაიეებთან ყოველდღიური კავშირი.

არსებულ წარმატებებთან ერთად საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემას ჯერ კიდევ აქვს დიდი, არსებითი ნაკლოვანებანი, რომელთა გამოსწორება და ლიკვიდაცია საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

სისტემა ჯერ კიდევ ცუდად ართმევს თავს გაფლანგვებისა და მტაცებლობის წინააღმდეგ ბრძოლას. საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში ჯერ კიდევ ცოტა როდი მოიპოვება თაღლითი და ვიგინდარა, რომლებიც სარგებლობენ რა სარაიონო სამომხმარებლო ორგანიზაციების ცალკეულ ხელმძღვანელთა უდარდელობით, განაგრძობენ სოციალისტური საკუთრების დატაცებას.

დღემდე კიდევ აღმოფხვრილი არ არის შეფერხების შემთხვევები ყოველდღიური მოთხოვნილების საქონლით ვაჭრობაში. ჯერ კიდევ ყველა ორგანიზაციაში არ არის შექმნილი ნორმალური პირობები რენტაბელური მუშაობისათვის. მთელ რიგ რაისამომხმარებლო კავშირებში ჯერ კიდევ არეულია აღრიცხვა და ანგარიშგება.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა აქტივის რესპუბლიკურმა თათბირმა, რომელიც მოწვეულია 1 ოქტომბრისათვის, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის საფუძველზე უნდა გამოამჟღავნოს ყველა ნაკლოვანებები და მტკივნეული ადგილები საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის მუშაობაში და დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი სისტემის სრული გაჯანსაღებისათვის.



რეპრესიები საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 28 სექტემბერი (საქდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო პარიზიდან იუწყება, საფრანგეთის პოლიცია თავს დაესხა საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სადგომებს და აგრეთვე მრავალ ადგილობრივი კომიტეტის სადგომებს. ყველა ეს სადგომი დაბეჭდილია. პოლიცია თავს დაესხა აგრეთვე მთელი რიგი იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციების სადგომებს, რომლებიც სახალხო ფრონტს ემხრობოდნენ.

შემდეგ სააგენტო იუწყება, რომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელთა ადგილსამყოფელი გამოურკვეველია. კონსერვატიულ პარტიებს განზრახვა აქვთ წინადადება შეიტანონ იმის შესახებ, რომ მოწვეულ იქნას პარლამენტი 76 კომუნისტი დეპუტატისა და ორი სენატორისათვის მანდატების ჩამორთმევის საკითხის განსახილველად.

საფრანგეთის კომპარტიას სდევნიან

პარიზი, 28 სექტემბერი (საქდესი). კომუნისტმა დეპუტატებმა პროტესტი განუცხადეს დეპუტატთა პალატის თავმჯდომარეს კომუნისტური პარტიის დაშლის წინააღმდეგ.

დეპუტატთა პალატის კულუარებში სხვადასხვა ვერსიებია იმის შესახებ, თუ როგორ მოექცევა ხელისუფლება კომუნისტ დეპუტატებს. ზოგიერთი ჰფიქრობს, რომ მთავრობა მოსთხოვს პარლამენტს გამოიტანოს სპეციალური გადაწყვეტილება კომუნისტ დეპუტატთათვის უფლებების ჩამორთმევის შესახებ.

ავსტრალიის დამოკიდებულება ომისადმი

ლონდონი, 28 სექტემბერი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო მელბურნიდან იუწყება, 27 სექტემბერს ავსტრალიის მთავრობის პრემიერ-მინისტრმა რადიოთი წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ უგუნურება იქნებოდა მნიშვნელოვანი ძალები გაეგზავნა ამჟამად ავსტრალიიდან ინგლისის დასახმარებლად. ალბათ ყველაზე უფრო სასარგებლო საჰაერო დახმარება იქნება. ავსტრალიის მდგომარეობა ახლა განირჩევა იმ მდგომარეობისაგან, რომელიც ჰქონდა მას 1914 წელს, როდესაც სხვა სახელმწიფოების პოზიცია გამორკვეული იყო და ავსტრალიაში შემოჭრის საშიშროება არ არსებობდა.

სამხედრო ბიუჯეტი შეტანილია დასამტკიცებლად თემთა პალატაში

ლონდონი, 28 სექტემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ, ფინანსთა მინისტრმა საიმონმა განსახილველად წარუდგინა თემთა პალატას ახალი სამხედრო ბიუჯეტი. თავის გამოსვლაში საიმონმა განაცხადა, რომ როდესაც ამ წლის ბიუჯეტს ამტკიცებდნენ, მაშინ მისი საგასავლო ნაწილი განსაზღვრული იყო 1.322 მილიონი გირვანქა სტერლინგის რაოდენობით. იმ დროს თავდაცვისათვის გადადებული თანხები 630 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენდა; ამასთან ჰფიქრობდნენ რომ ბიუჯეტის ხარჯები დაიფარებოდა ბიუჯეტის შემოსავლითა (942 მილიონის რაოდენობით) და სესხის საშუალებით (380 მილიონის რაოდენობით). მაგრამ ამ ბიუჯეტის საბოლოოდ მიღებამდე თავდაცვის ხარჯები გაიზარდა 730 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე და ამით 480 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე გაიზარდა ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯის ის ნაწილი, რომელიც სესხით უნდა დაიფაროს. საზაფხულო არდადეგებზე, პალატის დათხოვნის წინ ბიუჯეტის საერთო საგასავლო ნაწილი გადიდებულ იქნა 1.453 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე. მიუხედავად ამ ბიუჯეტის გიგანტური ციფრებისა, იგი შედგენილი იყო იმ ანგარიშით, რომ ინგლისი ამ წლის განმავლობაში ომში არ ჩაებმებოდა.

3 სექტემბერს, გერმანიისათვის ომის გამოცხადების შემდეგ, პარლამენტმა დაუყოვნებლივ გადასდო დამატებით 500 მილიონი გირვანქა სტერლინგი სამხედრო ხარჯისათვის. საიმონმა განაცხადა, რომ მას არ შეუძლია იმის გარანტირება, რომ ეს დამატებითი 500 მილიონი გირვანქა სტერლინგი საკმარისი იქნება ყველა ხარჯის დასაფარავად მიმდინარე საფინანსო წლის ბოლომდე (1940 წლის 31 მარტი). „ჩვენ იმით უნდა ვიხელმძღვანელოთ, რომ მიმდინარე საფინანსო წელს საჭირო იქნება თითქმის ორი მილიარდი გირვანქა სტერლინგის დახარჯვა". საიმონმა მოუწოდა ინგლისის მთელს მოსახლეობას თავი შეიკავოს ზედმეტ კაპიტალურ დაბანდებათაგან და დაზოგოს სახსრები ომის საწარმოებლად განკუთვნილი ახალი სესხებისათვის.

შემდეგ საიმონმა განაცხადა, რომ მთავრობას განზრახული აქვს საშემოსავლო გადასახადის გადიდება 5,5 შილინგიდან 7,5 შილინგამდე 1 გირვანქა სტერლინგ შემოსავალზე (გირვანქა სტერლინგი 20 შილინგს უდრის). რაც შეეხება შეღავათებს საშემოსავლო გადასახადის ხაზით, ეს შეღავათები მნიშვნელოვნად იქნება შემცირებული. დიდდება გადასახადი მემკვიდრეობაზე. მატულობს არაპირდაპირი გადასახადი. კერძოდ, დიდდება გადასახადი ლუდზე, არაყზე, თამბაქოზე, შაქარზე და საიმპორტო ღვინოზე. ამასთან ყველა მაგარ სასმელზე გადასახადი დიდდება ხვალიდან. წესდება ზემოგების გადასახადი, რაც მოგების იმ ნაწილის 60 პროცენტს უნდა შეადგენდეს, რომელიც ომამდე არსებულ ოდენობას აღემატება. გადასახადების გადიდების შედეგად შემოსავალი ამ წლის დარჩენილ თვეებში 107 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე უნდა გაიზარდოს. მთელი წლის განმავლობაში კი გადასახადი 226,5 მილიონი გირვანქა სტერლინგით გაიზრდება.

საბჭოთა მთავრობა სამძიმარს უცხადებს თურქეთის მთავრობას

ანკარა, 28 სექტემბერი (საქდესი). დღეს სსრ კავშირის საქმეთა რწმუნებულმა თურქეთში ამხ. ნიკიტნიკოვამ საბჭოთა მთავრობის სამძიმარი გადასცა თურქეთის პრემიერ-მინისტრს რეფიკ საიდამს იზმირის რაიონში მომხდარი მიწისძვრის გამო.

მიწისძვრა თურქეთში

ნიუ-იორკი, 28 სექტემბერი (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო სტამბოლიდან იუწყება, მიწისძვრა თურქეთში გაძლიერდა და მოედო ეგეის ზღვის კუნძულების რაიონს—სანტორინოსა და მიტილენას.

იაპონელთა თავდასხმა ამერიკის სააგენტოს ბიუროზე ტიანძინში

ნიუ-იორკი, 28 სექტემბერი (საქდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ტიანძინიდან იუწყება, რომ ტიანძინში 6 შეიარაღებული იაპონელი თავს დაესხა იუნაიტედ პრესის სააგენტოს ბიუროს. იაპონელები თავს დაესხნენ აგრეთვე რადიოსადგურს, რომელიც ამერიკელი ვაჭრებისა და მრეწველების ცნობათა გადაცემას აწარმოებდა.

იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ შეერთებული შტატების გენერალურმა კონსულმა ტიანძინში პროტესტი განუცხადა იაპონელთა ხელისუფალთ რადიოსადგურსა და იუნაიტედ პრესის სააგენტოს ბიუროზე იაპონელთა თავდასხმის გამო.

საიდუმლო საბჭო უკმაყოფილოა იაპონიის კაბინეტის გადაწყვეტილებით

ტოკიო, 28 სექტემბერი (საქდესი). კაბინეტის მიერ „საყოველთაო მობილიზაციის" კანონის გატარების დარგში პრემიერის უფლებათა გაფართოების დეკრეტის დამტკიცების შემდეგ ეს საკითხი გადატანილი იქნა განსახილველად საიდუმლო საბჭოში. საიდუმლო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ხარამ 27 სექტემბერს განმარტება მისცა ამ საკითხს, რის შემდეგაც დაიწყო დეკრეტის განხილვა საიდუმლო საბჭოს წევრთა მიერ. ამასთან საბჭოს წევრთა მიერ შეტანილი იქნა მთელი რიგი შეკითხვა.

გაზეთი „ასახი" აღნიშნავს, რომ საიდუმლო საბჭო მეტად უკმაყოფილოა პრემიერის უფლებათა გაფართოების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებით. დეკრეტის განხილვამ დიდი დავა გამოიწვია. ამ საკითხში ერთსულოვნობის უქონლობის გამო დეკრეტი არ დამტკიცებულა. გადაწყვეტილ იქნა კვლავ განიხილონ სადაო საკითხები 4 ოქტომბერს.

პოლონეთის თვითმფრინავის ინტერნირება ლიტვაში

კაუნასი, 28 სექტემბერი (საქდესი). ლიტვის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ 27 სექტემბერს პოლონეთის სამხედრო თვითმფრინავი დაეშვა კაუნასში. ეკიპაჟის ყველა 4 წევრი და მათ შორის ერთი პოლკოვნიკი ინტერნირებულია ლიტვის სამხედრო ხელისუფლების მიერ. თვითმფრინავი კონფისკებულია.

ლიტვაში ინტერნირებულ პოლონელ სამხედრო პირთა რაოდენობა 10 ათას კაცს არ აღემატება. ინტერნირებული პოლონელი ოფიცრები და ჯარისკაცები მოთავსებული არიან საკონცენტრაციო ბანაკებში.

დაპატიმრებანი ტიანძინში

ტოკიო, 29 სექტემბერი (საქდესი). დომეი ცუსინის სააგენტოს ტიანძინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ გუშინ, დილის 5 საათზე, იაპონიის ჟანდარმთა კორპუსი მჭიდრო თანამშრომლობით ინგლისის კონცესიის პოლიციასთან, რომელიც ინგლისის გენერალური კონსულის ჰერბერტისა და კონცესიის პოლიციის უფროსის ხელმძღვანელობით მოქმედებდა, თავს დაესხა ანტიიაპონურ ორგანიზაციას კონცესიის ტერიტორიაზე. თავდასხმის დროს დააპატიმრეს 30-ზე მეტი ჩინელი, რომლებიც სხვადასხვა პატრიოტულ ორგანიზაციას ეკუთვნოდნენ. ყველა დაპატიმრებული ჩინელი ინგლისის კონცესიის მუნიციპალური საბჭოს განკარგულებაში იმყოფება.

საომარი მოქმედება ჩინეთში

(საქდესის ჩუნცინელი კორესპონდენტის ცნობის მიხედვით)

ცენტრალურ ჩინეთში

ფრონტზე, ხუნანის პროვინციის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ნაწილში, კვლავ გააფთრებული ბრძოლა სწარმოებს. 26 სექტემბერს ჩინეთის ჯარის ნაწილებმა განაახლეს საფლანგო იერიშები იაპონელთა კოლონის წინააღმდეგ, რომელიც 20 ათასი კაცისაგან შესდგება და რომელიც მიიწევს სამხრეთის მიმართულებით კანტონ-ხანკოუს რკინიგზის გასწვრივ. ბრძოლა სწარმოებს მდინარე მიშუის გასწვრივ, ჩანლოძის რაიონში. იაპონიის ჯარის ნაწილები განაგრძობენ იერიშების მიტანას ჩანლოძზე.

დუნტინხუს ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, ინდიანის რაიონში, რამდენიმე ათასი კაცისაგან შემდგარმა იაპონელთა დესანტმა მიიღო ახალი მაშველი ძალები, რომლებიც იაპონიის 90 მოტორიან ნავებზე ისხდნენ. ბრძოლა ნაპირზე გადასხმულ იაპონიის ჯართან კვლავ გრძელდება. ინდიანიდან იოჯოუში ტბით გადაჰყავთ დიდძალი დაჭრილი იაპონელი ჯარისკაცი.

ძიანსის პროვინციის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილში იაპონელთა რაზმი, რომელიც 2 ათასი კაცისაგან შესდგება, ბრძოლას აწარმოებს ჩინეთის ჯარის იმ ნაწილებთან, რომლებიც განლაგებული არიან 40 კილომეტრზე ფინსიანის დასავლეთით.

24 სექტემბერს 600 კაცისაგან შემდგარმა იაპონელთა რაზმმა იერიში მიიტანა ჩინელთა პოზიციებზე 50 კილომეტრ მანძილზე უნინის სამხრეთით, მაგრამ, დაჰკარგა რა 200 კაცი მოკლულთა სახით, უკან დაიხია ჩრდილოეთის მიმართულებით.

გაოანის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ჩინეთის ჯარის ნაწილებმა ბრძოლით დაიკავეს სუხეძიაო.

ხუბეის პროვინციის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონში იაპონიის ჯარის მნიშვნელოვანმა ძალებმა დაიწყეს წინსვლა ტუნჩენიდან დაოშუგანისაკენ (ხუბეის, ხუნანისა და ძიანსის პროვინციების საზღვართან).

ვაჭრუკანა ბანდიტები

სპეკულაცია უდიდესი ბოროტებაა სოციალისტურ სახელმწიფოში. მასთან ახლა დიდი ბრძოლაა გაშლილი. „ყოფილი ადამიანების" ცალკეული წარმომადგენლები ყოველნაირად ცდილობენ დაარღვიონ საბჭოთა ვაჭრობის წესრიგი, ცდილობენ შექმნან მოსახლეობაში პანიკური განწყობილება, მაღაზიებთან ქმნიან დიდ რიგებს, აურ-ზაურს. სხვადასხვა ხრიკებით გამოტანილ ფართო მოხმარების საქონელს გადიდებულ ფასებში ჰყიდიან და სძარცვავენ პატიოსან მოქალაქეებს.

უკანასკნელ ხანებში მუშურ-გლეხური მილიციისა და პროკურატურის ორგანოებმა შესამჩნევად გააძლიერეს ამ ბოროტებასთან ბრძოლა.

ამასწინათ მილიციის თანამშრომლებმა პუშკინის ქუჩაზე „ტექსტილსბიტის" № 8 მაღაზიასთან შეამჩნიეს ორი საეჭვო პიროვნება—ერვანდ კაზარიანი და კარაპეტ ხაჩატუროვი, რომლებმაც მაღაზიიდან გამოიტანეს ათ-ათი მეტრი მანუფაქტურა და სახლისაკენ გასწიეს. მილიციის მუშაკები დაუდარაჯდნენ ე. კაზარიანის ბინას. რამდენიმე საათის განმავლობაში ამ ბინაზე მოდიოდნენ მამაკაცები და ქალები, რომელნიც რაღაც საქონელს ეზიდებოდნენ. სპეკულანტები „ტექსტილსბიტის" № 8 მაღაზიიდან გამოტანილი ჩითისაგან სახელდახელოდ ჰკერავდნენ კაბებს და მიჰქონდათ ყოფილ ხითაროვის პასაჟში არტელ „წითელი კუსტარის" ფარდულში, სადაც გამგედ კაზარიანის და ხაჩატუროვის მეგობარი კასუმოვი იყო. აქ სწრაფად იყიდებოდა ლამაზი ჩითისაგან შეკერილი კაბები, ხოლო კაბებში აღებული ფულით სპეკულანტები ჯიბეს ისქელებდნენ.

ფაქტიური მასალის დაგროვების შემდეგ მილიციის სოციალისტური საკუთრების მტაცებლობასთან ბრძოლის განყოფილების მუშაკებმა გაჩხრიკეს სპეკულანტების მდიდრულად მორთული ბინები, სადაც აღმოჩენილ იქნა სპეკულაციის მიზნით დაგროვილი დიდძალი სამრეწველო საქონელი—შალეული, თეთრეული, მზა ტანსაცმელი.

დაპატიმრებული სპეკულანტები დიდხანს ცდილობდნენ არ გამომტყდარიყვნენ, მაგრამ ფაქტებს საით წაუვიდოდნენ და გამოტყდნენ დანაშაულში.

გამოძიებამ დაადასტურა, რომ კაზარიანს, ხაჩატუროვს და სხვებს კავშირი ჰქონდათ „ტექსტილსბიტის" № 8 მაღაზიის დირექტორის მოადგილე ვინმე გულიევთან, რომელიც სპეკულანტებს წინასწარ ამარაგებდა საქონლის გამოსატანად საჭირო ჩეკებით.

სპეკულანტებს მაღაზიიდან ხშირად ასეულ მეტრობით გამოჰქონდათ საქონელი. გულიევმა, კაზარიანმა და ხაჩატუროვმა თავის გარშემო შემოიკრიბეს დამხმარე სპეკულანტთა დიდი ჯგუფი; ისინი მაღაზიის წინ გამართულ რიგში უწესობას ჰქმნიდნენ, შეურაცყოფას აყენებდნენ საბჭოთა მოქალაქეებს. გულიევს დამხმარეებად ჰყავდა მაღაზიის გამყიდველები, დარაჯები, დამლაგებლები. მაღაზიის მუშაკები რიგიდან ერეკებოდნენ მშრომელ ელემენტებს, ხოლო სპეკულანტებს იოლ პირობებს უქმნიდნენ.

სპეკულანტთა ჯგუფის ერთერთ წევრს შიროევს ბინაზე დიდძალი სამრეწველო საქონელი და 3.000 მანეთი ფული აღმოუჩინეს. შიროევი მრავალშვილიანია, მას მთავრობამ დახმარების სახით მოზრდილი თანხა მისცა. ეს ფული მან სპეკულანტურ ბრუნვაში გაუშვა, ბავშვებს კი მშიერ-ტიტველს დაატარებდა, რათა ხალხისათვის თვალი აეხვია,—აი, დახეთ რა ღარიბ-ღატაკად ვცხოვრობო.

„ტექსტილსბიტის" № 8 მაღაზიის შემოწმების დროს საწყობში აღმოჩენილ იქნა აგვისტოში მიღებული დიდძალი საქონელი. მას სპეკულაციის მიზნებისათვის ინახავდნენ. ცალკეულ მუშაკებს გადამალული ჰქონდათ იგი სპეციალურად მიჩნეულ ადგილებში. ასე, მაგალითად, დამლაგებელ ქალს გევორქიანს საკუჭნაოში უნახეს ნახერხში დამალული მანუფაქტურა, ორნახევარი ფუთი ერბო, ერთი ყუთი მაკარონი, კალოშები და სხვა სამრეწველო საქონელი.

ეს ჯგუფი სპეკულაციას 1935 წლიდან ეწეოდა.

ამ საქმეზე წინასწარი კვლევა-ძიება დამთავრებულია. უკვე დაპატიმრებულია 20 კაცი. მოკლე ხანში სპეკულანტთა ამ ოცეულის საქმეს სახალხო სასამართლო გაარჩევს.

○

მილიციამ დაამთავრა აგრეთვე მთელ რიგ სპეკულანტთა, სასურსათო პროდუქტების შემსყიდველთა და საბჭოთა ვაჭრობის დეზორგანიზატორთა საქმეების გამოძიება.

მარის ქუჩაზე ორი წყვილი მამაკაცის ტუფლის სპეკულანტურ ფასებში გაყიდვის დროს მილიციის თანამშრომლებმა დააკავეს მამა და შვილი მიხეილ და თედორე კულბიაკოვები (მარის ქ. № 42). მათი ბინის გაჩხრეკის დროს აღმოჩენილ იქნა 102 მეტრი სხვადასხვა სახის ფართალი, ერთი ძროხის ტყავი, 11 წყვილი კაცისა და ბავშვის ტუფლი, 62 ცალი კოჭა ძაფი, 3 წყვილი კალოში, 40 ცალი სარეცხი საპონი, სხვა მრავალი სამრეწველო საქონელი და 1.710 მანეთი ფული. მამა და შვილი სისტემატურად ეწეოდნენ სპეკულაციას.

დაპატიმრებულია აგრეთვე ი. შპაგინი. უკანასკნელის ბინაზე აღმოჩნდა 1 ფუთი შაქარი, 50 ნაჭერი საპონი, 40 წყვილი ქალის ჩულქი და მამაკაცის ნასკი, რ წყვილი ტუფლი, ასანთი და დიდძალი ლილა.

სპეკულანტ სოფიო სერგეევას ბინაზე აღმოუჩინეს 72 წყვილი ქალის საზაფხულო ფეხსაცმელი („ბასანოჟკები") და 37 წყვილი ქალის ტუფლი. გამოირკვა, რომ სპეკულანტ სერგეევას ტუფლებით ამარაგებდნენ თბილვაჭრობის № 81 მაღაზიის გამყიდველები მ. მაყაშვილი და ი. ხოსიტაშვილი.

ს. მასლინსკაიას ბინაზე აღმოჩენილ იქნა 1.300 კილო მზესუმზირას ზეთი და სხვა საქონელი.

ნ. ჯინჯიხაშვილი სამრეწველო საქონლით სპეკულაციას თავის ცოლთან ერთად ეწეოდა. მათი ბინის გაჩხრეკის დროს აღმოჩენილ იქნა შაქარი და სხვადასხვა სახის მანუფაქტურა დიდი რაოდენობით და 8.000 მან. ფული.

ირინა, მარია, იფროსინე და ევდოკია შენგელიების ბინაზე იპოვეს 127 მეტრი მანუფაქტურა, ფუთნახევარი შაქარი, 42 ნაჭერი საპონი და სხვა სამრეწველო საქონელი.

აბაშის მუსიკალური მაღაზიის გამგემ ვარლამ თოფურიამ სახელმწიფო სავაჭრო თავის საწველ ფურად გადააქცია. თვითონ ითვისებდა მიღებულ კულტსაქონელს და სპეკულანტურ ფასებში ჰყიდდა. მისი ბინის გაჩხრეკის დროს აღმოაჩინეს 84 ცალი პატეფონის ფირფიტა „სულიკო" და 110 კოლოფი პატეფონის ნემსი.

გარდა ამისა, სპეკულანტობისათვის დაპატიმრებული არიან: მ. ვარდოევა, კ. დინამიანცი, ა. სუკიასოვი, ა. ტერ-მელიქოვი, ა. ხუციშვილი და სხვ. მათ ბინაზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ქალის ჩულქები, ტუფლები, საპონი, ნავთი, მამაკაცის ნასკი, ბავშვის ფეხსაცმელი, მანუფაქტურა და სხვა საქონელი.

ყველანი ახლო მომავალში წარსდგებიან საბჭოთა მართლმსაჯულების წინაშე.

თ. ფურცელაძე.

სასამართლო

მეგობრები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს

აუსრულდა დიდიხნის ნატვრა ელიშ მიხეილის-ძე სააკიანს. ის სადგურ სადახლოს სავაჭრო წერტილში მოეწყო, მონახა ძველი მეგობარი მიხეილ მისაკ-ოღლი და სავაჭრო წერტილი სპეკულაციის ობიექტად გადააქცია.

მისაკ ოღლი ყოფილი ვაჭარია, მას საკუთარი სავაჭრო ჰქონდა თბილისში, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ ამ საქმეზე მას ხელი აალებინა. მისი ვაჭრული ბუნება მაინც უცვლელი დარჩა და როდესაც მას მიეცა შემთხვევა სადახლოს სავაჭრო წერტილს მიტმასნებოდა, შვებით ამოისუნთქა.

— მე წავალ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში, იქიდან გამოგიგზავნი დეფიციტურ სამრეწველო საქონელს, ნაწილსაც თან წამოვიღებ და ერთად ვივაჭროთ სახელმწიფო აბრას ამოფარებულებმაო.

შეთანხმდნენ მეგობრები და მიჰყვეს ხელი „საქმეს", შეადგინეს ყალბი საბუთები და მისაკ ოღლი გაემგზავრა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში. იქიდან ის სისტემატურად გზავნიდა დიდძალ სამრეწველო საქონელს. ბაზარი რომ უფრო გაეფართოვებინა, მან „საგენტო" გაიჩინა ქ. ერევანში, საქონლის ნაწილს უგზავნიდა ერევანში თავის აგენტს და ნაწილს—სადახლოში თავის მეგობარს ე. სააკიანს.

მეგობრების ეს „საქმიანობა" დიდხანს არ გაგრძელებულა, ისინი გამომჟღავნებულ იქნენ, როგორც საბჭოთა სავაჭრო პოლიტიკის დეზორგანიზატორები.

სპეკულანტები შეიპყრეს და პასუხისგებაში მისცეს.

მათი საქმე საჩვენებელი პროცესით გაარჩია ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. იორამიშვილის თავმჯდომარეობით და სახელმწიფო ბრალმდებლის 26 კომისრის რაიონის პროკურორის ამხ. ა. ცხადაძის მონაწილეობით.

სასამართლომ მიხეილ მისაკ ოღლის მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით, მთელი მისი პირადი ქონების კონფისკაციით და სასჯელის მოხდის შემდეგ 3 წლით სამოქალაქო უფლებების აყრით. ელიშ მიხეილის-ძე სააკიანს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 წლით და სასჯელის მოხდის შემდეგ ორი წლით სამოქალაქო უფლებების აყრა.

მ. სურგულაძე.

საჯარო ბიბლიოთეკაში

თბილისის კ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში [illegible] მოწყობილია [illegible] საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) [illegible] XVIII ყრილობის [illegible] მკითხველთათვის. გამოფენილია პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა, თეორიული სტატიები, ამონაჭრები ჟურნალ-გაზეთებიდან და სხვ. მოწყობილია აგრეთვე სამხედრო გამოფენა, სადაც ნაჩვენებია მშობლიური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის განვლილი საბრძოლო გზა, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწერები სამხედრო ხელოვნების შესახებ და სხვ.

აქვე კვალიფიციური ლექტორი ატარებს კონსულტაციას საერთაშორისო საკითხებზე.

ახალი საკოსტუმე ქსოვილი

მაუდ-კამვოლის ფაბრიკა „საბჭოთა საქართველოში" ათვისებულია ახალი ნიმუშის კამვოლის საკოსტუმე ქსოვილი (შევიოტი) მეტისის ხარისხოვანი მატყლისაგან. ეს ქსოვილი განირჩევა თავისი სირბილით, მოხატულობის სილამაზითა და მაღალი ხარისხით.

ახალი ქსოვილი ხარისხით ოდნავ თუ ჩამოუვარდება კამვოლის ქსოვილს, რომელიც მეტისის ხარისხოვანი მატყლისგან მუშავდება. ამ ნიმუშის ქსოვილის ათვისება პირველი ცდაა საბჭოთა კავშირში. მომავალ წელს ფაბრიკა ამ საკოსტუმე ქსოვილის 250 ათას მეტრს გამოუშვებს. (საქდესი).

ინგლისურ-ქართული ლექსიკონი

სახელმწიფო გამომცემლობის სასწავლო-პედაგოგიურმა სექტორმა აპ. წულუბიძის რედაქციით გამოსცა დოცენტ ისიდორე გვარჯალაძის მიერ დამუშავებული ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, რომელიც შეიცავს 20.000 სიტყვას. წიგნი კარგად არის გაფორმებული.

ეს ნაშრომი დოცენტმა გვარჯალაძემ მიუძღვნა კომკავშირის 20 წლისთავს.

კურორტოლოგიის ინსტიტუტში

კაპიტალური რემონტის შემდეგ, 1 ოქტომბერს მუშაობას განაახლებს საქართველოს ცენტრალური კურორტოლოგიის ინსტიტუტი (ლენინის ქ. № 49). მუშაობა იწარმოებს როგორც სტაციონარში, ისე პოლიკლინიკაში.

შემთხვევები

გაუფრთხილებლობის მსხვერპლნი

○ 27 სექტემბერს მოქ. გ. გეჯაძე (კოლექტივიზაციის ქ. № 20) შეეცადა საბჭოს ქუჩაზე მიმავალ ტრამვაის ვაგონზე შეხტომას, მაგრამ ჩამოვარდა და მოჰყვა მისაბმელ ვაგონ ქვეშ. ტრამვაის თვლებმა მას ორივე ფეხი გადასჭრა. გეჯაძე მოთავსებულია რკინიგზის საავადმყოფოში.

○ ამავე დღეს გაუფრთხილებლობის მსხვერპლი გახდა ცაგერიდან ჩამოსული მოქალაქე ჩხეიძე, რომელიც აგრეთვე შეეცადა ტრამვაიზე შეხტომას, დაეცა ქვის ფილაქანზე და თავის ქალა გაიტეხა. ჩხეიძე მოთავსებულია ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

○ ამავე დღეს კახეთის გზატკეცილზე ნავთლუღის მაცივრის მახლობლად № 3 ტრამვაის მარშრუტი, რომელსაც მართავდა ვატმანი ა. ანდრიასოვი, დაეჯახა ტრამვაის ლიანდაგზე მიმავალ ურემს. დაჯახების შედეგად დაშავდა სოფ. კუმისის მცხოვრები სუკიასოვი. კვლევა-ძიება სწარმოებს.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — მთის მარში, **ოქტომბერი** — კატერინა, **დამკვრელი** (საზ.) —კაპიტან გრანტის შვილები, **დამკვრელი** (ზამთრ.) — ცხარე დღეები, **კომკავშირელი** (საზ.)—მთის მარში, **კომკავშირელი** (ზამთრ.)—მთის მარში, **სპარტაკი** — ვაჟკაცობა, **რ. ლუქსემბურგის სახ.**—მტკიცე ხასიათის ქალიშვილი, **26 კომ. სახ.**—უკანასკნელი ღამე, **კომინტერნი** — ტრაქტორისტები, **ს. ორჯონიკიძის სახ. კ. დ. ც. პ.** —ვოლგა, ვოლგა.

პარტკალენდარი

ალექსი ვასილის-ძე იაროვიკოვი 3 დღის ვადაში გამოცხადდეს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებაში ამხ. დოლიძესთან.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი
სახელმწიფო თეატრი
1939-40 წ. წ. სეზონი.

30/IX	2/X	3/X
მუდმ. ადგ. ტალონი № 10	მუდმ. ადგ. ტალონი № 11	მუდმ. ადგ. ტალონი № 12
ნაპერწკლიდან	შემოდგომის აზნაურები	შემოდგომის აზნაურები

სალარო ღიაა დღის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე. დასაწყისი 8 საათზე.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის
ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

30 სექტემბერს	2 ოქტომბერს	3 ოქტომბერს
მუდმ. ადგ. ტალ. № 7	მუდმ. ადგ. ტალ. № 8	მუდმ. ადგ. ტალ. № 9
ტრავიატა	დაისი	ქეთო და კოტე

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
აბონემენტებზე განაცხადთა მიღება და აბონემენტების გაცემა თეატრის სალაროში
სალარო ღიაა 11—4 ს. და 5—9 ს.

საქსახესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი
(პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. 3-18-50)
საზაფხულო სეზონის დახურვა
საზაფხულო თეატრი
სახ. ოპერეტის თეატრის წარმოდგენა
30 სექტემბერს მუდმ. ადგ. ტალ. № 125
უკანასკნელად
კერიკოლა მუს. კომ. 4 მოქმ.
2 ოქტომბერს
უკანასკნელი გამოსათხოვარი წარმოდგენა
მარიცა
სამხ. ხელმძღვანელი ა. ნ. ოლგარი
დასაწყისი საღ. 9 საათზე.
ღია ესტრადა
30 სექტემბერს დიდი საღამო კონცერტი დასაწყისი 9 ს. 30 წ.
ბილეთების წინასწარ შეძენა დილის 11 ს-დან 3 ს-დე, საღ. 6 საათ. 11 საათამდე
ბაღში სასულე ორკესტრი ხანაგოვის ხელმძღვანელობით.

საქართველოს ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო
ინსტიტუტის დირექცია აცხადებს
კურსდამთავრებულთა საყურადღებოდ,
რომ სახელმწიფო გამოცდები დანიშნულია ა. წ.
20 ოქტომბრიდან.
აღნიშნული დროისათვის საჭიროა შემოტანილ იქნას განცხადება სათანადო დეკანატში.
ბერიას სახელობის სას.-სამ. ინსტიტუტის
759 დირექტორი დოც. ნ. გელაშვილი.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და
ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1939—1940 წ. სეზონი
გამოშვებულია ინდივიდუალური შეღავათიანი
აბონემენტები 15 სპექტაკლისათვის
ღირებულების ნაწილ-ნაწილ გადახდით 8 თვის განმავლობაში.
განაცხადების მიღების უკანასკნელი ვადა 5 ოქტომბერი განაცხადები მიიღება თეატრის საბონემენტო სალაროში დღის 12 დან 4-მდე და საღ. $6^1/_2$-დან $8^1/_2$ საათამდე.

ა. წ. 25 სექტემბრიდან
ლიკვიდირებულია
რეკლამკანტორა,
იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც აქვთ რაიმე პრეტენზია უნდა მიმართონ ა. წ. 15 ოქტომბრამდე ლიკვიდკომს, პლეხანოვის № 73, რის შემდეგ არავითარი პრეტენზიები არ იქნება მიღებული.
ლიკვიდკომი.
3254

საქ. სსრ კვების მრეწველობის სახ. კომ.

ბალანსი თბილისის ტარის ქარხნისა 1939 წლის 1 იანვრისათვის.

აქტივი (ათას მანეთებში) პასივი

№ № რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა 1938 წ. 1 იანვრისათვის	თანხა 1939 წ. 1 იანვრისათვის
1	ძირითადი საშუალებანი (შენობები, ნაგებობანი, მანქანები, ინვენტარი)	75,8	153,1
2	ნედლეული, ძირითადი და დამხმარე მასალა	160,4	208,3
3	საქონელი და მზა ნაწარმი	28,0	44,5
4	გადაგზავნილი საქონელი	52,4	49,5
5	საშუალებანი ანგარიშსწორებებში	20,9	15,7
6	ფულადი საშუალებანი	41,9	46,2
7	ხარჯები მომავალი წლების ანგარიშში	3,6	5,7
8	შინაგანი ანგარიშსწორებანი	30,6	14,9
9	სხვა აქტივები	49,8	155,9
	ბალანსი	463,4	693,8

№ № რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა 1938 წ. 1 იანვრისათვის	თანხა 1939 წ. 1 იანვრისათვის
1	საწესდებო ფონდი	213,5	138,3
2	სხვა ფონდები	10,8	20 6
3	რეზერვები და მოსალოდნელი გადასახდელები	3,0	1.7
4	ბანკის მოკლევადიანი კრედიტები	—	116,1
5	ანგარიშსწორება კრედიტორებთან	75,1	65,1
6	მოგება საანგარიშო წლისა	161,0	352,0
	ბალანსი	463,4	693 8

1938 წლის მუშაობის ძირითადი მაჩვენებლები.

წარმოებაში.

1. პროდუქციის გამომუშავება:	
ა) 1938 წლის საგასაცემო ფასებში	1.826,3
ბ) პროცენტებით გეგმის მიმართ (უცვლელ ფასებში)	157 %
2. თვითღირებულება შემცირებულია გეგმასთან შედარებით	1,65 %
3. შრომის ნაყოფიერება პროცენტობით გეგმის მიმართ	162,7 %
4. ერთი საწარმოო მუშის ხელფასი პროცენტობით გეგმის მიმართ	130,6 %
5. ანარიცხები საწარმოს დირექტორის ფონდში	30,9
6. დახარჯულია დირექტორის ფონდიდან	26,0
მათ შორის.	
ა) კულტსაყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის	15,9
ბ) მშენებლობაზე	10,1
7 დირექტორის ფონდის ნაშთი საცხოვრებელი ბინების მშენებლობისათვის	13,5
ზედმეტი ხარჯები და დანაკარგები	
ა) ზედმეტი ხარჯები საამქროში	1,3
ბ) ნედლეულის, მასალის და პროდუქციის დანაკლისი საწყობებში	1,9

დირექტორი **სარუხანოვი.** მთ. ბუღალტერი **როტმისტროვსკი.**

ბალანსი დამტკიცებულია საქ. სსრ კვების მრეწველობის სახ. კომისარიატის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

695 საქ. სსრ კვების მრეწვ. სახ. კომისარიატის ცენტრ. ბუღალტერიის უფროსი **პურადაშვილი.**

29 სექტემბერს მატარებელში № 55 ბორჯომი—თბილისი **დაკარგულია დოკუმენტები მეჯიდ გუსეინოვის** სახელზე. მპოვნელს ვთხოვ დამიბრუნოს ისინი შემდეგი მისამართით: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი, № 12 „სოვეტ გურჯისტანის" რედაქცია.

კოწია, პაპასი, სოსო შუბაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ პეტია ზედგინიძეს მისი დედის **ვასასი ისიდორეს-ასულ ზედგინიძის** გარდაცვალების გამო. 3274

ანდრო კობახიძე და ნიკოლოზ შამათავა ოჯახით მწუხარებით იუწყებიან ორაკლი ვასილის-ძე ზედგინიძის ძვირფასი დედის **ვასასი ისიდორეს-ასულ ზედგინიძის** გარდაცვალებას. 3275

საქ. მიწსახკომის სუბტროპიკულ სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან ავქსენტი ბედიას ძმის **ერმილე სოლომონის-ძე ბედიას** გარდაცვალებას. 3278

მშობლები მარიამ, ვასო, ბებია სადიკო, ძმები ვალიკო, გრიგოლ, ალიოშა, დემნა, და ნათელა, რძლები ფაცია, ვენერა იუწყებიან ძვირფას **შუშანა (შატუა) ჩიგოგიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 1/X ს. ხიდისთავში (ჩოხატაური). 3270

ცქიტიშვილი, კვალიაშვილი, თაყაიშვილი, სვანიძე, ხუციშვილი, ავსაჯანოვა, მისაბიშვილი, თავაძე, ცერცვაძე, შამილი, ზალდასტანიშვილი, საკანდელიძე, იუწყებიან ვალიკო წერეთლის მეუღლის **ანეტა წერეთლის** გარდაცვალებას. 3276

შვილები ალექსანდრე, ნინო, მარიამ, ევა, ანა, ელენე, რძალი ნინო, სიძეები და შვილიშვილები იუწყებიან საყვარელ **ეფემია ასლანის-ასულ ფიხაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. 9 ძმის ქ. 22. დაკრძალვა 2/X 5 ს. კუკიის სასაფლაოზე. 3268

ბერაძე, ცინცაძე, მაისურაძე, მგალობლიშვილი, გამსახურდია, ჩაპოძე, კაპანაძე, სარიაშვილი, ბატიაშვილი, ზაქარეიშვილი, ხმალაძე, ზარიძე, ჯანაშვილი, როტმანი, ახვლედიანი, ამაშუკელი, ურუშაძე, ძიძიგური, კვარაცხელია, ახობაძე იუწყებიან **ანეტა წერეთლის** გარდაცვალებას. 3267

სეით და ვერა გულიაშვილები, მირონ, მაშიკო, ლიუცი და ირკა მაჩაიძეები იუწყებიან ძვირფასი ადამიანის **ავქსენტი გიორგის-ძე ენუქიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. იმაწმინდაში (საჩხერე). 3269

ლავრენტი, გალინა, კლავდიოზ, ბაბუცა, ტარასი და ალექსანდრა თურმანიძეები იუწყებიან საყვარელი ადამიანის **ავქსენტი გიორგის-ძე ენუქიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 1/X ს. იმაწმინდაში (საჩხერე). 3269

შვილი პეტია მეუღლით მარუსათი, შვილებით თინათი და ლილით, სიძით ვასო ფერაძით იუწყება დაუვიწყარი **ვასასი ისიდორეს-ასულ ზედგინიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 2/X 4 ს. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. მატერიალური შეს., 6. 3274

მიხეილ, როზა ხარაძეები, კარლო, ლიდა ხუხუნაშვილები, ვალოდია, კუკა აბუსერიძეები იუწყებიან ძვირფასი ბიძაშვილის **შუშანა (შატუ) ვასილის-ასულ ჩიგოგიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 1 ოქტომბერს ს. ხიდისთავში. 3271

ლენა ბედია-ჯიმშელეიშვილისა შვილით ელგუჯათი მწუხარებით იუწყება უსაყვარლესი ძმის **ერმილე სოლომონის-ძე ბედიას** გარდაცვალებას ქ. ცხაკაიაში (ძვ. სენაკი). 3273

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, საბჭოთა მშენებლობის და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, 3—80—81. პ.-ბ მორიგის—3 81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. მთავლიტის რწმუნებული ა—641